სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 9 თებერვალი, 25 1896 წ. № 9

შინაარსი: ელეონორა დუზე-ჩეკკი.—უკანასკნელი პასუხი, აკაკისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—ჩემი სიმღერა ლექსი, ბ. დავითაშვილისა.—რენტგენის სხივები.—საყურადღებო ამბები.—მოგონება, ტ. ც—შვილი.—მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება, ნ. ჟორდანიასი.—აკაკის, ლექსი—დუტუ მეგრელისა.—მეტი ღონე არ არის (ეტიუდი), ანასტ. ერისთვისა.—მგზავრის შენიშვნები (შემდეგი იქნება), ხომლელისა.—კვალის ფოსტა და განცხადება.—

ელეონორა დუზე.

ელეონორა დუზე-ჩეკკი. *)

განთქმულ მსახიობ—ქალთა შორის, რომელთ რიცხვი საზოგადოთ მეტათ მცირეა, ერთი უპირველესი ადგილი ეკუთვნის ელეონორა დუზეს. დიდი ხანია, რაც სარა ბერნარი მთელი ქვეყნისაგან ცნობილია პირველ არტისტათ თანამედროვე მსახიობთა შორის, მაგრამ „იტალიელი სარა ბერნარი“, როგორც უწოდებენ ელეონორა დუზეს, არა თუ არ ჩამოუვარდება ფრანგთა სარას, არამედ, ზოგის აზრით, ბუნებრივი ნიჭით კიდევაც ჯობნის მას. უპირველესი თვისება დუზეს ნიჭისა ის არის, რომ მისი თამაშობა საკვირველათ უბრალოა, ყოველ წინადვე მოფიქრებულ ეფექტებს მოკლებულია მაშინ, როდესაც სარა ბერნარს ყოველი წვრილმანი მოძრაობაც კი შესწავლილი აქვს საოცარი ხელოვნებით, ასე რომ თვით ეს დეტალური შესწავლა, ეს შრომა ხელოვნებათ გადაქცევია.

ელეონორა დუზე დაიბადა ჩრდილო იტალიაში 1859 წ. მას თავისი ნიჭი თითქო შთამომავლო-

*) ტეობალდო ჩეკი, დრამატურგი, ქმარი ელ. დუზესი.

ბით დაჰყვა. მისი პაპა და მამა კარგი მსახიობნი იყვნენ. ელეონორას პაპამ, ლუიჯი დუზემ, პადუაში თეატრიც კი დაარსა, რომელსაც ახლა გარიბალდის თეატრს ეძახიან. რაც შეეხება მამას, იგი ნივთიერი მხრით ცოტა შევიწროებული იყო და ამით აიხსენება, რომ მისი ქალი-შვილი სულ ახალგაზრდა გამოვიდა სცენაზე (თორმეტი წლისა). იმ დროს მას მეტათ ცოტა ფასს აძლევდენ და, ამბობენ, შიმშილიც კი არა ერთხელ გამოუცდიაო. ასეთ მდგომარეობაში გაატარა ელეონორა დუზემ ოთხი წელიწადი, მაგრამ ის მაინც ენერგიას არა ჰკარგავდა, დღისით ახალ როლებს იზეპირებდა, საღამოს თამაშობდა სცენაზე და საზოგადოთ იმდენს მუშაობდა, რომ შრომით იქანცებოდა ხოლმე: ის თითქო გრძნობდა თავის ბრწყინვალე მომავალს.

ერთხელ, თექვსმეტი წლისა იქნებოდა, რომ მას შემთხვევით მოუხდა ვერონაში ჯულიეტას როლში გამოსვლა. თეატრში ხალხი მეტათ ბევრი დაესწრო. ახალგაზრდა ქალმა გამოიჩინა მთელი თავისი ნიჭი, მთელი თავისი ძალ-ღონე და მართლაც დიდი შთაბეჭდილება იქონია და ხალხი აღტაცებაში მოიყვანა. ეს იყო მისი პირველი ტრიუმფი. მაგრამ ამ შემთხვევამ ბევრი არაფერი შემატა დუზეს სახელს. მხოლოთ როდესაც იგი მიიწვიეს ფლორენციის ძველ თეატრში, რომელსაც სახელი გაუთქვეს რისტორიმ, სალვინიმ და ალბერტიმ, მხოლოთ მაშინ იწყება დუზეს ჭეშმარიტი დიდება და სახელის განთქმა. სხვა და სხვა სატახტო ქალაქები ზედი ზედ იწვევდენ მას, და 1892 წ. დამდეგს ელ. დუზე წავიდა ამერიკაში, ნიუ იორკში, ამ არტისტთა ელდორადოში. საზოგადოება მას ყველგან აღტაცებით ეგებებოდა და მისი ტურნე ყოველთვის გაუთავებელი ტრიუფი იყო. ამ ორი-სამი წლის წინათ ელ. დუზე რუსეთშიაც იყო.

უმეტეს ნაწილათ დუზე გამოდის სარდუს, დიუმა-შვილის და იბსენის დრამებში, სადაც სიყვარულისაგან დატანჯული ქალის როლს თამაშობს ხოლმე და მართლაც საოცარი ხელოვნებით, საკვირველის სიმარტივით ასურათებს მათ სულის მდგომარეობას. ვისაც კი დუზე უნახავს სცენაზე, ყველა ერთხმათ მოწმობს მისი სახის მოძრაობას, გამომეტყველებას, რომელიც მას საშუალებას აძლევს გამოხატოს სულის ყოველი ძნელათ შესამჩნევი მდგომარეობაც კი.

უკანასკნელი პასუხი.

ვიღაცას უთქვამს, რომ ქართველი გინებაში იდგამს ენასაო. საზოგადოთ ეს ტყუილია, მაგრამ ზოგან კი მართლა შეჰვდებით მისთანა ბავშს, რომ ჯერ ენა არ გამაგრებოდეს და უწმაწურებს კი ამბობდეს: „მამაძაღლო", „დედაძაღლო", „ლოთსილო", „გაგახამო", „მოკლამ მე სენო" და სხვანი. კარგ შვებისათვის ამისთანა ნოჩი მოსაწონი არ არის, მაგრამ მშობლებს კი არ ეჯავრებათ... პირიქით კიდეც უხარიათ და ამბობენ გუნებაში: „ვენაცვალე ჩემ პატარა ტიტინა ბიჭს, ახლავე ეტყობა მჭევრ-მეტყველობის ნიჭიო... მართალია, ჯერ ცუდი სიტყვების მეტს არას ამბობს, მაგრამ ეს ხომ უგნურობით მოსდის და, როცა გაიზრდება და ჭკუა მიჩახვდება, მაშინ ზრდილობიან სიტყვა-პასუხზე გადავაო". მართალი არიან მშობლები!.. მესმის მათი გულის პასუხი, მით უფრო, რომ მეც ბევრჯელ ვყოფილვარ იმათ მდგომარეობაში: ძვირათ ვინმე გამოსულა ჩვენში ან სამწერლო და ან სხვა რომელსამე საზოგადო სარბიელზე, რომ პირველი ბიჯი ჩემკენ მუქარით არ გადმოედგას და ჩემი ლანძღვით არ დაეწყოს თვისი დებიუტი. იმ თავიდან ამ ბოლომდე ეს ისე დაკანონდა, რომ თითქოს უამისოთ ნება არა ჰქონდეს ახალგაზრდას პირველი ბიჯის გადადგმისა!.. ისე როგორც ქრისტიანი ვერ მიიღებს ზიარებას, თუ „მწამს უფალი და აღვიარებო" არა თქვა, ან—და ნათვლობის დროს თუ არ გაიმეორეს მის მაგიერ სამჯერ „ვივჯმნი ეშმაკისაგანო!". ვინ თხოულობს ამას და ვისთვის არის საჭირო, არას ვიტყვი, მაგრამ სწორეთ ასე კი არის და!.. ვისაც არ სჯერა, გადაათვალიეროს ჩვენი მწერლობა ამ ოცდათუთხმეტი წლის განმავლობაში, და, თუ ვსტყუოდე, ცუდი კაცი დამიძახოს!.. ამასაც ნუ მაკმარებს.. აგრეთვე თუ სადმე შეხვდეს, რომ მე პირველი შევხებოდე ვისმე პიროვნებას და მხოლოთ ცილის წამების თავიდან ასაცდენათ მარტო პასუხი არ მეწეროს, მოუსვენარი მიწოდოს და დამგმოს. აი, ახლაც სრულიად კანონიერათ მეჩვენა „ივერიის" ახალგაზრდა კრიტიკოსის ჩემსკენ გამოლაშქრება:

„აკაკის ნაკი წელიწადია დაუდგაო", „მისი მოთხრობა სახელს ვერ შემატებსო" და სხვანი. ესე იგი, უბოდიშოთ რომ ვთქვათ, „წელს რომ აიღებდეს წერაზე, კარგი იქნებაო". ეს ეგება მართალიც იყოს,

მაგრამ, რადგანაც მე ჩემ დღეში არ მიფიქრია სახელის მოპოებაზე და არც ახლა ვცდილობ მის გადიდებას, ამისათვის ბოდიშს ვიხდი, რომ ვერ ვასრულებ მისსა და მისიანების სურვილს და ისევ ისე ვსწირავ, როგორც მიწირავს შეძლების-და გვარათ. დეე, სახელის გადიდებაზე იმათ იფიქრონ, ვისაც მხოლოთ მის მოსაპოვებლათ ულევაწნიათ, ჩემი სურვილი და მისწრაფება კი ყოველთვის სხვა ყოფილა და დღესაც სხვა არის.

ცხოვრებაში რომ ფეხი შევდგი, კარგათ ვიცოდი ავ-კარგის გარჩევა და მწარესა და ტკბილსაც ვატყობდი. ჩემ წინ იდვა ორ-კაპი გზა; მარჯვნივ—სწორი, გატკეცილი და ვარდით მოფენილი, ადვილი გასავლელი და საფუნდრუკო, ციხე—დარბაზში საბედნიეროთ მიმყვანი; მარცხნივ—უსწორ მასწორი, ოღრო-ჩოღროიანი, ეკლიან-ტალახიანი, სახიფათო, საჭირ-ბოროტო, შორი, მაგრამ ზედ უკვდავების წყაროზე კი მიმსვლელი. საზოგადო აზრი სირინოზის ხმით მიჩურჩულებდა ყურში: ,,აირჩიე მარჯვნივ! ხოლო იმ პირობით კი რომ დაივიწყო წარსული, ხელი აიღო მომავალზე და იფიქრო მხოლოთ შენს საკუთარ აწმყოზე! ეს სალხინო გზა მიგიყვანს იმ სადგურამდე, სადაც მოგელის სიმდიდრე და მაღალი ხარისხი, ეს ორი უპირველესი განძი, და ნატვრის თვალი ქვეყნიური ცხოვრებისა. შენი გარეგანი შემკულობა ქვეყანას თვალს მოსჭრის, ტკბილი სიტყვა-პასუხი ყურს მოუხიბლავს, უწყინარი და ზდილობიანი ქცევა გულს მოიგებს და სიმდიდრეც საშუალებას მოგცემს, რომ ღორ-მუცელათა გუნდი პურ-ღვინით მოინადირო და გაიერთგულო. იცოცხლებ სახელ განთქმულათ, დაბერდები სიტკბოებით და სამარეშიაც დიდებულათ ჩახვალო, მერე კი, რაღაი შენ აღარ იქნები, შენთვის სულ ერთი იქნება, ქვა-ქვაზედაც ნულა ყოფილაო“. ,,არა! არა! ნუ გაუგონებ მაგ მაცდურს!—ჩამძახოდა მეორე ყურში ჩემი გადიას ხმით ბავშობისას გაგონილი ზღაპარი—განა ადამიანს შეშვენის წარსულის დავიწყება და მომავალზე ხელის აღება? ეს ხომ საკუთრათ პირუტყვის ხვედრია? შენ კაცი ხარ და, როგორც კაცს, არ უნდა გავიწყდებოდეს არც მშობელი და არც ნაშობი! თავგაწირული უნდა იყო შენი სატრფოსათვის, არც ჭირში და არც ლხინში არ უნდა გავიწყდებოდეს საყვარელი! მათთვის თავის განწირვა და ჭირის ატანა ლხინათ უნდა მიგაჩნდეს. ხომ ხედავ, რომ შენი მშობელი, შენი სატრფო, შენი საყვარელი, ოდესმე გამოჩენილი მზეთ-უნახავი, დღეს დასნეულებული და დაწყლულებული ძლივსღა იბრუნებს სულს? მისი ფეხზე წამოყენება და განკურნება უკვდავების წყაროს მეტს არაფერს შეუძლია და იქამდის მისასვლელი კი ამ გზის მეტი სხვა გზა არსად არის! არა! დაადექი ამ გზას, ნუ შეუშინდები ხიფათს, ნუ მოერიდები განსაცდელს, იტანე ყოველგვარი უბედურება და თავგაწირულათ მიჰყევ ამ გზას, სადამდისაც მიგიყვანოსო!“ კი მაგრამ მე ხომ გმირი არავარ, რომ შევიძლო მთელი გზის გაკაფვა უკვდავების წყარომდე?—ვაძლევდი პასუხს ჩემ გუნებაში—სადმე ახლოსვე ჩავკვდები საწყლათ... ჩემ თავსაც დავაკლებ და ვერც არას ჩემ საყვარელს შევმატებ მეთქი ,,ჰაი, სულმოკლეო! გმირი თუ არა ხარ, უბრალო დღიურ მუშათ ხომ მაინც გამოდგები და ისიც კარგიაო!—მარწმუნებდა გადია—მართალია, მთელ გზას ვერ გაივლი მაგრამ რამდენიმე ბიჯის გადადგმას ხომ მოასწრებ? იმ შენ გაკვალულ გზას შენს შემდეგ სხვები ადვილათ, გაუჭირვებლათ გაივლიან და ახალ მუშაობას დაიწყებენ იქიდან, სადაც შენ შეჩერებულხარ. ამ რიგათ ერთი მეორეზე დღეს-ხვალიობით გაიკაფება მთელი გზა, უკვდავების წყარო ესხურება შენს სატრფოს და გაიკურნება. მართალია შენ ველარას მოესწრები, მაგრამ სიკვდილის წინეთ მოვალეობის ასრულების ტკბილი გრძნობა და საფლავში იმედის ჩატანა იგივე ცხონებააო.“ მითხრა დაბეჯითებით. მეც მარცხნივ გადავდგი ფეხი და აღარც გადამიხვევია.—ხშირათ მოხდება, რომ საროსკიპოში მიმავალმა კაცმა გზაში ფეხი წამოჰკრას, დაეცეს, მაგრამ წამოდგეს ისევ და გაუდგეს საბინძურო გზას. აგრევე შესაძლებელია, რომ ეკლესიაში სალოცავათ მიმავალსაც ასევე მოუვიდეს: ნამეტანი სიჩქარით ფეხი წამოკრას რასმე, გაგორდეს მიწაზე, მაგრამ მაინც არ მოიშალოს ეკლესიაში შესვლა. მართალია იქაც წაქცევაა და აქაც, მაგრამ მიზანი და მიმართულება კი ამ ორი შემთხვევის სულ სხვა და-სხვა არის და საროსკიპოში მიმავალს ნება არა აქვს უკიჟინოს მეორეს: ,,შენც ხომ წაქცეულხარო!“ და სხვა.—წავქცეულვარ თუ არა მეც ამ მარცხენა გზაზე, არას ვიტყვი! ეს სხვებისთვის მიმინდვია სათქმელათ, მაგრამ შეცდომით კი ზოგჯერ შემცდარვარ: ნამეტანი გულ-მხურვალობით მტერი მოყვრათ მიმილია და მოყვარე მტრათ მომჩვენებია, თუმცა მალე კი გამოვრკვეულვარ ხოლმე და მევე გამისწორებია ჩემი შეცდომა. მოვიტან აქ ერთ მაგალითს:

თბილისში რომ ჩამოვედი, „ძველმა მოღვაწეთა წრემ“ ძალიან სიამტკბილობით მიმიღო და მით ფრთები შემასხა!.. მით უფრო, რომ სტუდენტებისაგან ძალიან გულ-დაჩაგრული ვიყავი: რატომ წერაზე ხელი არ აიღო და ჩვენი სურვილის წინააღმდეგ წავიდაო. გარდა ერთი ორისა, უმეტესობა მოსვენებას აღარ მაძლევდა, კიჟინას მაყრიდა, საცინლათ მიგდებდა. ქართველების „ტრედიაკოვსკის მეძახდ.“

და სხვანი. ერთხელ ლავრენტი არდაზიანმა თავის სახლში წამიყვანა. გზაში, სხვათაშორის, ჩამოაგდო ლაპარაკი ერთ ახალგაზდა მწერალზე და მითხრა: იმასთან მეგობრობას არ გირჩევო. მართალია, შენი თქმისა არ იყოს, ის ნიჭიერი კაცია, გამრჯელი, სწავლა-განათლების მოსურნეც, მაგრამ თავ-მოყვარეობით სნეულია და კეთილ ნაყოფს ვერ მოიტანსო. გუშინ მთელი დღე მედავა ქვეყნის გაჩენაზე... შემთხვევით მოძრაობას, „სლუჩა-ნი მეხანიზმას" აზრალებდა, და, რომ არ დავეთანხმე, ღედამიწასთან გამასწორაო.

საზოგადოთ შემინიშნავს, რომ ამ გვარი კაცები ქვეყანას არას არგიანო და ბოლოს, როცა მათი აღარა გაუვათ-რა, ან თავის გულს შემოასქდებიან და ან გაცოფიანებული ბრუნდსა და მართალს გაურჩევლათ კბენას დაუწყებენო. ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, წინ ერთი ვილაც კვარტალნი შეგვხვდა; ლავრენტიმ ხელი ჩამოართვა და ისიც თან წამოიყვანა. გზაში ერთმანეთს გაგვაცნო: დიმიტრი ბერიევი გამოდგა და მეც შევკრთი, რადგანაც პოლიციელისა და პოეტის ერთათ წარმოდგენას ვერ ვახერხებდი. ლავრენტის სახლში ბევრი ნაცნობი დამიხვდა, უფრო მეტი კი უცნობი და, როდესაც წარმადგინეს, ყველამ სიამოვნებით შემომხედა. ყური მოვკარი, ერთმა დედაბერმა წაულაპარაკა მეორეს: გენაცვა, შვილო, რა ახალგაზდა ყოფილაო?! ძნელი წარმოსადგენია ახლა, თუ რა სიამოვნება ვიგრძენი იმ საღამოს! უმეტესათ მაშინ, როდესაც ერთმა ახალგაზდა მღვდლის ქალმა ჩემი „საიდუმლო ბარათი" იმღერა. იმ საღამოს ბევრ რაზედმე ვლაპარაკობდით, მაგრამ უფრო კი მწერლობაზე. ივანე კერესელიძე მომიბრუნდა და მკითხა: როგორ მოგწონს დიმიტრი ბერიევის ახალი ლექსი „ლხინი"?

— კარგია!— მივუგე მე —წყობილებაც კარგია და მუზიკაც, მაგრამ აზრი კი ღმერთმა შეინახოს!

—როგორ თუ ღმერთმა შაინახოს?! ყველას მოსწონს და თქვენ კი, სტუდენტებს ძველი კაცების თავის დღეში არა მოგეწონებათრა, აპა რას უწუნებ?

—ავიღოთ, თუ გინდა ეს ტაეპი: „მომეცით ყანწი! რათ მინდა ჭიქა? გასტყდეს, ვეძებდე მე აქა-იქა". ეს აზრის წინააღმდეგობა არ არის?! თუ მთელი ჭიქა არ უნდა და გასატეხათ იმეტებს, ნამტვრევებს რაღათ ეძებს აქა-იქა? ცხადია, რომ ეს სიტყვა „აქა-იქა" მიტომ უხმარია, რომ რითმა გამოსულიყო „ჭიქა და აქაიქა." მაგრამ მაშინ არ ჯობდა, ასე ეთქვა: გასტყდეს, გაიბნეს ის აქა-იქა. მაშინ ისევ ის ლექსი გამოვიდოდა და აღარც აზრის წინააღმდეგობა იქნებოდა.

—შემცდარი ხართ!—ჩამოგვერია არდაზიანი. ჭიქა რომ გატყდება ძალა უნებურათ უნდა ვეძებოთ და ვათვალიეროთ აქა-იქ, რომ ფეხში არავის შეერჭოს.

—ეგ კარგი სოფიზმია, მაგრამ პოეზიაში კი არ გამოდგება. არა მგონია, რომ მაგ აზრით ეხმაროს ავტორს ეგ სიტყვა? ამას გარდა რა დასაწერი იყო ეს მეორე სიტყვები: „მიყვარს გაძღომა, ადრე სადილი, იქვე მიწოლა და იქვე ძილი" მეთქი. ამ სიტყვებზე ყველამ სიცილი დაიწყო, თვითონ ბერიევმაც გადიხარხარა, მოვიდა, ხელი ჩამომართვა და მითხრა: პირველში მართალი ხარ, მაგრამ მეორეში კი არა! ნასადილევს ძილი რომ სასურველია, ამას, ჩემი ხნის რომ მოიყრები, მაშინ იგრძნობო.

—ღმერთო, შეგცოდე! ხანდახან ახლა მეჭაშნიკება ხოლმე მაშინდელი მისი სიტყვები.

მეორეთ, კუკიისკენ მიმავალს, ამედევნა ბერიევი და მე გავეხუმრე:

რომ ვინმე დამინახოს ახლა, თუ მტერია, იამება, თუ მოყვარე, ეწყინება.

—რათა?!—მკითხა გაოცებით.

—ეგონებათ, რომ კვარტალს დაუჭერივარ და პოლიციაში მივყავარ.

—იმერელო! არც მაგრე ამოჩემება ვარგა კაცისა. რას უკიჟინებ ამ ჩემ მუნდირს? მაინცა-დამაინც ჩემ პოეტობას ეს რას დაუშლის?

—ორი ნესვი, ერთი გარეული და ერთი შინაური, ცალი ხელით არ დაიჭირება.

—მე რომ დაბალ ლობეთა მხედავ, მიტომ მეუბნები მაგას, თორემ რატომ გრიგოლს, გიორგის, ივანეს, იაკინთეს და სხვებს არას ამხილებ, უფრო დიდი გარეული ნესვები არ უჭირავთ ხელში?

— მე იმათთან რა საქმე მაქვს? ისინი განზე დგანან თავისთვის, შენ კი ჩვენ წრეში ხარ და, მაგ მორთულობით რომ გხედავ, მეხიმხება. გაიხადე და მეტს აღარას გეტყვი".

ამ სიტყვას შემდეგ, ხმა აღარ გაუცია ისე ჩავედით ხიდამდინ. იქ ერთი ცალ-ფეხი გლახა შეგვხვდა, ყავარჯნით ხელში; ბერიევმა გროში მისცა და დაუწყო კითხვა: რათ გინდა, ჩემო ძმაო, ეგ ჯოხი რომ გიჭირავს ხელში? როგორ თუ რათა?—უპასუხა გლახამ —უამისოთ რა მეშველება?.. ფეხს ველარ დავადგამ და აქვე დავვარდები მიწაზე. ფეხი რომ გაგიმთელდეს, მაშინ ხომ შეელევი მაგ იარაღს? რაღა ოხრათ მენდომებაო, უპასუხა ღიმილით.

აი, ჩემო წერეთელო, შენი პასუხიო!—მომიბრუნდა ბერიევი—ეს მუნდირიც ჩემი ყავარჯენია, უამისოთ ფეხს ველარ გავადგამდი და ოჯახიც შიმშილით ამამიწყდებოდაო.

ეს სიტყვები გულში მომხვდენ და თანხმობის

ნიშნათ ხელი გავუშვირე პოეტს. ამგვარი შეცდომა სხვიმისაც ბევრჯელ მომსვლია, მაგრამ დანაშაულობათ არა ვთვლი!.. ოჯახის ერთგული ძაღლი ზოგჯერ უცხო ტანისამოსით რომ ნახავს, შინაურებსაც კი შეუყეფს ხოლმე, მაგრამ, ახლოს რომ მივა და იცნობს, მრისხანე ყეფას საალერსო წუწკუნით აბოლოებს. რადაი კი გადასული ამბების მოგონებაში შევტოპე, ერთსაც კიდევ გავიხსენებ: გიორგი მუხრანსკის დავებარებიე და ვიახელი. ის საკვირველი თავდაბალი, ალერსიანი და ტკბილი მოლაპარაკე კაცი იყო. ისე მიმიღო, რომ მეგონა ჩემ ტოლ ამხანაგ სტუდენტთან ვიყავი. დიდხანს ვისაუბრეთ და ბოლოს უცბათ მკითხა: წერეთელო, დიდხანს უნდა იარო მაგრე თმა გაჩეჩილმა? მართალია პოეტი კი ხარ, მაგრამ ნუ დაგავიწყდება, რომ ის დრო წავიდა, როცა პოეტები პარნასზე ღმერთებთან ერთათ ფერხულს უვლიდენ! აქ საქართველოა.

—მერე რა? ვუპასუხე მე.

—ის, რომ შენ თავზე ფიქრი გმართებს. პოეტი ხარ და ქვეყანა ვარდისფერათ გეჩვენება!.. და ცხოვრება გაფურჩქნილ ვარდათ, მაგრამ ერთხელ უეჭველათ ფოთლები დასცვივა, მარტო ეკლები დარჩება და მაშინდლისთვის ხელთათმნები მზათ უნდა გქონდეს, რომ ხელები არ გაიკაწრო.

—რა ხელთათმნები?

—გამოუცდელი რომ ხარ და ცხოვრება არ იცი, მიტომაც ვერ მიმხვდარხარ!.. მე შემიტყვია, რომ შევიწროებულ მდგომარეობაში ხარ, ცოლშვილის პატრონი ხარ და ფიქრი გმართებს. ამთავით ყოლიფერს ადვილათ აიტან, მაგრამ ოდესმე ცხოვრება თავისას მოგთხოვს და მზათ უნდა იყო. ქართული მწერლობა თუ რასმე დაგაკლებს, თორემ ვერას შეგძენს!.. ქართველი უსამსახუროთ ძნელი წარმოსადგენია! აი, ახლა კარგი შემთხვევა არის, ახალი რეფორმები შემოდის ჩვენში და შედი სამსახურში.

—გმადლობთ რჩევისათვის, მაგრამ რომ ვერ გამოვდგე! და რომ კიდეც ვივარგო, განა მომცემენ?

—მაგაზე კიდეც მოველაპარაკე სტარიცკის და, რაც შეეხება ვარგობას, რასაც დღეს შენთვის უნაყოფოთ შრომობ, მაგის მეათედიც რომ გაისარჯო, მალე დაწინაურდებიო. ამისთანები ბევრი რამ მირჩია მამაშვილურათ და, რომ აღარ დავეთანხმე, მითხრა: ნუ ჩქარობ! წადი, კარგათ მოიფიქრე და ამ სამ დღეში გადაჭრილი მითხარიო. მე მის საპასუხოთ ერთი ალეგორიული ზღაპარი დავწერე „სნეული და მკურნალი“ და ის მივუტანე. წაიკითხა, ნაღვლიანათ გაიცინა და მითხრა: ჰო, ეს სულ სხვა არის. მე მეგონა, თუ გამოუცდელობით ცხოვრება არ იცოდი, შენ კი ფანატიკოსი ყოფილხარო. შენი ნებაა, მაგრე იტანტალე ჭირვეულათ, მაგრამ თუ ცხოვრებამ ოდესმე ეგ დღევანდელი აზრი გამოგაცვლევინოს, მოდი ისევ ჩემთანო. ეს მითხრა, ჩამომართვა ხელი და გამომეთხოვა. იმ კვირაში ალექსანდრე ორბელიანის სასახლის მღვდელი მოვიდა ჩემთან და მითხრა: კნიაზმა გამამგზავნა, გთხოვათ, რომ ამ საღამოს იმასთან მიბძანდეთ და, მუხრან ბატონისათვის რომ რაღაც წერილი წაგიკითხვინებიათ, ისიც თან მიიტანოთო. ავასრულე მათი სურვილი. ახლაც თვალ-წინ მიდგას ეგზარხოსის მოედანზე სვეტებიანი სახლი, სადაც ორბელიანი, ის უკეთესი ძველი ქართველი ცხოვრებდა. კიბის თავთან მომეგება, ჩვეულებრივი სიყვარულით და ალერსით მიმიღო. გამომკითხა ყოველიფერი, რაც მუხრანსკისთან ნათქვამი მქონდა, გამომართვა ხელნაწერი, გადაიკითხა და ცრემლები გადმოყარა: ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მაგრამ, ვაი, თუ, შვილო, ვერ აიტანო! მთელი საქართველოს ისტორია ერთი დაუსრულებელი ტანჯვაა, მაგრამ ამ პატარა, ერთ ბოხჩა, ღვთიშობლის საუფლისწულოს ჯერ კიდევ გული არ გატეხია და ანდერძათ ესა აქვს: „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვიტკირსაო.“ ნურც შენ გატეხ, შვილო, გულს, ნუ დაივიწყებ, რომ ქართველი ხარ, დედაღვთისა იყოს შენი შემწეო. მე სიცილი დავიწყე და მოვახსენე: ისე მელაპარაკებით თითქო ომში მივდიოდეთქო.

არა, შვილოო!—განაგრძო თავის ქნევით—ადვილი ნუ გგონია ცხოვრებასთან ბრძოლა! ომი ხანმოკლეა, ცხოვრება კი ხანგრძლივიო.

მასუკან ბევრი დრო გავიდა, მაგრამ რამდენჯერაც კი ჩავარდნილვარ განსაცდელში, ყოველთვის მის სიტყვებს უნუგეშებივარ და ცრემლებს გავუმხნევებივარ. კურთხეულ იყოს მისი სახსენებელი!!.

ეს ამდენი წილადობილა „ივერიის“ კრიტიკოსის საპასუხოთ მოვიტანე. შეუძლია მიხვდეს, რომ სახელისთვის არაოდეს არ მიფიქრია. გამოვდიოდი მხოლოთ უბრალო დღიურ მუშათ, რომელსაც ნება არა აქვს, რომ ყოველ დღიურ სამუშაოს გვერდი აუქციოს, გინდ წვრილმანიც იყოს. არაოდეს მის გარჩევაში არ შევსულვარ, რომ ეს დიდი საქმეა და უფრო გამომაჩენს, ეს კი პატარა და შეუნიშნავი; ეს სასახელოა, ის სხვების სასიამოვნო და გულის მოსაგები, ის კიდე საწყენი და სხვანი და სხვანი.

სამუშაო იარაღათაც ბევრ სხვა და სხვა რამესაც ვხმარობდი: როგორც ყვედრებას, ისე ვედრებასაც, როგორც წყევლა-კრულვას, ისე ლოცვა კურთხევასაც. სადაც ძალლივით ყეფა იყო საჭირო, იქ ზევსური არ მიმღერია და, სადაც გალობა, იქ ყეფა არ დამიწყია. კალამიც ისე მეჭირა ხელში, როგორც

ყოველ დღიური სამუშაო იარაღი. სახუროთ-მოძღვროთ არ მომიცლია, თვარა ჩემ ნაწერებს ხელათ კი არ გამოეხანხლავდი, უფრო მეტ დროს მოვახმარებდი, გავაშალაშინებდი, თითო წამის მაგიერათ წელიწადებს მოვანდომებდი და მაშინ სახელიც მეტი მექნებოდა. მაგრამ რა ჯანაბათ მინდა ეგ სახელი? არც ისე უგუნური ვარ, რომ მაგას რამე მნიშვნელობა მივცე! მოცლილმა ხელმა, რომელიც მზათ იყო ყოველთვის ყელში წამჭირებოდა, დღეს რომ ტაში დამიკრას, ის სასიამოვნოთ როგორ და მრჩება, მით უფრო, რომ ამგვარი ხელები, როცა ქაფილი მოუვათ, მაიმუნებსაც კი უტყაპუნებენ და ვაშა ვაშას უძახიან. რაც შეეხება სიკვდილს შემდეგ სახელის დატოვებას, ესეც ხომ სასაცილო თავის მოტყუებაა! რაღაი კი მოვკვდები და გაგება აღარაფრის მექნება, პირადათ ჩემთვის მაშან ყოლიფერი ერთი იქნება: გინდა მზე და მთვარე დამიდგით ძეგლათ და გინდ ძაღლი დამაკალით საფლავზე. არა! შეგნებული მოღვაწე, რაღაც მომავალი სახელით კი არ იტყუებს თავს, ილწვის იმ სიტკბო-სიამოვნებისათვის, რომელსაც აქვე, სიცოცხლეშივე გრძნობს მუშაობის დროს. მართლაც, რაღა ჯობია იმ შეგნებას, როცა მუშაობის დროს გრწამს, რომ შენი შრომა უნაყოფოთ არ დარჩება და გამოადგება ქვეყანას, არა თუ დღეს, ხვალ და ზეგაც! ეგები თავსაც ვიტყუებდი, მაგრამ მე ყოველთვის ჩემ თავზე ამ აზრის ვიყავ და ამ ერთათ ერთი სიტკბოებით ვცოცხლობდი. ამ ოცდათუთხმეტი წლის განმავლობაში ბრძნებლები და მრჩეველები არ დამკლებია, რომ ჩხირ-კედელაობაზე ხელი ამეღო, მაგრამ მადლობა უფალს, რომ მე მაინც ჩემი გზა არ შემიშლია და დღიური მუშაობისათვის თავი არ დამინებებია. დღეს, როდესაც უმეტესობა მწერლობის მაგიერათ მხოლოთ ადვოკატობს და, სადაც კი მეტ სარგებელს ხედავს, იქითკენ გარბის, რომ თეთრი როგორმე გააშავოს და შავი გაათეთროს, უფრო საჭიროც არიან ჩემისთანა დღიური მუშა მწერლები! ამაზე ისე დარწმუნებული ვარ, რომ, თუ სიმრთელე არ მიშლიდეს ხელს, მთლათ მწერლობათ გადვიქცეოდი და ის იქნებოდა ჩემი მხრით „ივერიის“ კრიტიკოსების უკეთესი პასუხი.—სვიმონ მაჩაბელს უთქვამს: „მთელი რუსეთი მამდგა და ვერ გამტეხა და აქ კი ცხინვალის ხიდზე ვინღაც ერთი ური მიპირებს გაბრიყვებასო!“ იმისი არ იყოს, თუკი აქამდინ მე წერაზე ვერ ამაღებიეს ხელი და ჩემი ნაწერების წამკითხველებს—კითხვაზე, ახლა რაღა იმედი აქვთ „ივერიის“ კრიტიკოსებს, რომ მათი პურტყულით შეგვაშინონ?!. არ სჯობია, რომ თავისი დიპლომატიური კალამი სამაისო არჩევანებისათვის შეინახონ დ გარეშე მკვდრებსა და ცოცხლებს თავი დაანებონ? თვარა დღეს დიმიტრი ყიფიანის საფლავისაკენ გაისვრიან შურდულს, ხვალ ჩემკენ, ზეგ კიდევ სხვებისაკენ, რომელნიც მაგათ ყურ-მოჭრილ ყმობას ვერ აიტანებენ და მათ ფერხულში არ ჩაებმებიან.. და რა გამოდის აქედან? ნუთუ ესა ჰგონიათ ქვეყნის სამსახური და ერთგულება?! „ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მას ვერ ვიტყვი კახაბერათაო,“ ამბობს დავით გურამიშვილი. მისი არ იყოს, ვინც თავის პირადობაზე მეტს ფიქრობს, ვიდრე საზოგადო საქმეზე, სადილობამდე ერთსა სწერს და ნასადილევს მეორეს, მისი კი რა მოგახსენოთ! რა ვუთხრა მისთანა ქართველს, რომელსაც გაურჩევლათ ყოველი ქართველის სიკეთე და ბედნიერება არ უხარია, გინდ მტერი იყოს და გინდ მოყვარე!

აკაკი.

სხვა-და-სხვა ამბავი.

სასულიერო მთავრობის ნებართვით ქუთაისში კომიტეტი შემდგარა, რომელსაც განზრახვა აქვს თანხა შეადგინოს კერძო შემოწირულებით და ეპისკოპოსის გაბრიელის სახელზე სტიპენდია დაარსოს რუსეთის ერთ-ერთ სასულიერო აკადემიაში. იმედია, ამ კეთილ განზრახვას ყველა დიდი სიამოვნებით მიეგებება და თავის წვლილს არ დაიშურებს.

* * *

სამიწათ-მოქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს 50 ათასი მანეთი გადაუდვია კავკასიაში სახელმწიფო ტყისა და აგარაკების გასამიჯნავათ და მათ გეგმის ასაღებათ. ამავე სამინისტროს გადაუწყვეტია მისცეს რამოდენიმე თანხა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს, რომ მან ამერიკის ვაზი გამოიწეროს და მემამულეთ დაურიგოს.

* * *

ქალაქ თბილისის შემოსავალი იყო 1895 წელს შემდეგი: 1 იანვრიდან 1895 წ. 1 იანვრამდის 1896 წ. 1.101,822 მ. 22 კ. წლის განმავლობაში ქალაქმა სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის დახარ-

და 935,494 მ. 82 კ. ისე რომ პირველ იანვარს 1896 წ. ქალაქს დარჩა წმინდა შემოსავალი 166, 327 მ. და 38 კ.

—

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ახლათ ამორჩეულ პარიკმახერთ და დალაქთა ამქრების უსტაბაშს იორამ მხეიძეს, მის თანაშემწეს სულხან საგინაშვილს და ხმოსნებს გიორგი გაკნიძეს და ვართანოვს განუზრახავთ მეტათ საგულისხმო საქმე: სურთ დააარსონ თავიანთ მოძმეთათვის თავშესაფარი, საავათმყოფო და სამკითხველო. ვისურვებთ კეთილათ დააგვირგვინონ თავიანთი განზრახვა.

* * *

მოვაგონებთ მკითხველებ, რომ დღეს სათავადაზნაურო თეატრში ბ. მელ. ბალანჩივაძე გამართავს ქართულ კონცერტს. მომღერალთა გუნდი შეასრულებს ახლათ დაწერილ სვანურ სიმღერებს და ახალ სიმღერას: „ნანაო“. თვით ბ. ბალანჩივაძე იმღერებს ახალ რომანსს: „ოდესაც გიცქერ“ (სიტყვები გრ. აბაშიძისა).

* * *

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობას გადაუწყვეტია ჯამაგირები მისცეს ზოგიერთ მსახიობთ. ამისათვის 1120 მან. არის გადადებული.

* * *

ქართველ მსახიობთა ამხანაგობა შეადგინეს და მართევენ წარმოდგენებს სახელმწიფო თეატრში. ოთხშაბათს კიდეც ითამაშეს „მადამ-სანჟენი“ ქალ. ეფ. მესხის მონაწილეობით. მომავალ ოთხშაბათს თურმე წარმოადგენენ „მარგარიტა გოტიეს“ ქალ. ეფ. მესხისავე მონაწილეობით. პირველ წარმოდგენაზე ხალხი ცოტა დასწრებია. იმედია აწი ბლომათ დაესწრება.

* * *

პეტერბურგის ქართველობას განუზრახავს პეტერბურგშივე დააარსოს კომიტეტი, რომელმაც უნდა დახმარება აღმოუჩინოს ქუთაისის გუბერნიაში წყალ-ღიდობისგან და ნამეტანი თოვლისაგან დაზარალებულთ.

* * *

პროფ. ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილი კიდევ ხუთ წელს დარჩება თურმე უნივერსიტეტში.

* * *

ამ თვის 16-ს სოფ. მუხრანის მცხოვრებთ ყრილობა ჰქონიათ და ხმის უმეტესობით გადაუწყვეტიათ შეაკეთონ და გააუმჯობესონ გზები მუხრანიდან სადგურ ქსნამდე. ეს სურვილი რომ განახორციელონ მცხოვრებთ მთავრობისათვის უთხოვიათ სახელმწიფო გარდასახადისაგან განთავისუფლებულ იქნენ ერთი წლით. აგრეთვე ადგილობრივ მემამულეთ თხოვენ დახმარება აღმოუჩინონ ხე-ტყისა და სხვა მასალის მოწვდენით და მუშით. ყრილობის ამ გადაწყვეტილებაზე ხელი აქვს მოწერილი 252 სულს. იმედია მთავრობა შეიწყნარებს ამ გონიერ თხოვნას და მემამულენიც დახმარებას არ დაიზარებენ.

* * *

26-ს იანვარს დიდი თოვლის მოსვლამ სხვათა შორის მისცა დიდი ზარალი ქუთაისში ნ. გ. რაფაელოვს, მოვაჭრეს შუშეულის საქონლით. ღამე მთელი მაღაზიის სახურავი თოვლმა ჩამოტეხა, ერთიანათ საქონელს დააწვა და სულ დაამტვრია როგორც შუშეული ისე სხვა-და-სხვა საქონელი. როგორც ამბობენ, ზარალი რამდენიმე ათასს მანეთამდეა.

ჩ ე მ ი ს ი მ ღ ე რ ა.

(ვუძღვნი მ. პ—ს).

ნეტავი შენ, მერცხალო,
თავისუფლათ დაფრინავ;
არ გამძიმებს ულელი
და მის ქვეშ არა ჰგმინავ!..

—

გიყვარს თავისუფლება,
არავის ემონები,
ბუნებისგან ბოძებულს
შენს სატრფოს ეკონები.

—

როს ჩვენში ჰგრძნობ სიცივეს,
სრულიად არ ღონდები:

გაფრინდები თბილ მხარეს,
დროებით მოგვშორდები.

—

როცა გაზაფხულდება,
ისევ აქ მოფრინდები
და ტკბილი ჭიკჭიკითა
არავის მოწყინდები.

—

მე კი მუდამ აქ ვრჩები—
არ ეჩვეულვარ ფრინვასა—
და ერთგვარათ ეუხვდები
სიცხესა და ყინვასა.

—

შენს ბედს მაინც არ ვნატრობ,
თუმც ტანჯვას ვგრძნობ დაფარულს:
აქ წუხილსა მე ვრჩებ,
ვიდრე სხვაგან—სიხარულს,

—

რადგანაც ავათმყოფი
სატრფო მყავს ფერ-მიხდილი
და მსურს, მის სამსახურში
მღირსებოდეს სიკვდილი.

—

მერცხალო, გეევედრები,
ეს თხოვნა მომისმინე:
ხშირათ გვნახე და სატრფო
ჭიკჭიკით მომილხინე!..

ბ. დავითაშვილი.

რენტგენის სხივები.

ბევრი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც მთელ განათლებულ ქვეყანას ეუწყა, რომ ვიურცბურგის პროფესორმა, ვილჰელმ კონრად რენტგენმა რაღაც უხილავი, იდუმალათ მომქმედი სხივები იპოვაო. მას შემდეგ ყოველ დღეს დეპეშაც სხვა და სხვა გასაოცარ ამბებს გვატყობიებს, რენტგენის სხივების შემწეობით ესა-და-ეს გაიგეს, გადმოხატეს და სხ. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ჩვენი მკითხველებისათვისაც საგულისხმოა იცოდეს ცოტა რამ ამ სხივების შესახებ და მათ თვისებაზე წარმოდგენა იქონიოს.

დღეს უტყუარ გამოცდილებაზე დამყარებული მეცნიერება და მით უფრო ფიზიკა ისეთ მტკიცე ნიადაგზე სდგას, რომ რაიმე ახალის ნახვა, მონარუქება უცაბედობაზე, შემთხვევაზე კი არ არის დამოკიდებული. მთელი რიგი მეცნიერთა, რომელთ ნამდვილი და ჭეშმარიტი ჰიპოტეზა, თეორია უნათებს გონებას, ნელ-ნელა, თანდათან, მაგრამ მტკიცეთ კი იძიებს, იკვლევს ბუნების ძალთა საიდუმლოებას, მოელენათა თვისებას. ყოველივე ახლათ ნახული ან გამოკვლეული, მონარუქებული წარმოადგენს პირდაპირ შედეგს მეცნიერთა წინანდელი შრომისას, ლოგიკურ დასკვნას იმ ცოდნისა და მსოფლიოზე შეხედულებისას, რაიც დღეს ხელთა აქვს მეცნიერებს. ერთის შრომა და გამოკვლევა დამოკიდებულია მეორისაზე, ერთის შრომა მეორის გაგრძელებაა. ესევე ითქმის რენტგენის სხივების შესახებაც. ამ სხივების ნახვა, მათი თვისების შესწავლა და აღწერა ნელ-ნელა მზადდებოდა. ხოლო რენტგენმა ეს ცოდნა უფრო გაფართოვა. ჩვენც მივყვეთ კვალ-და-კვალ ამ ძიებას.

ფიზიკიდან ვიცით, რომ მზის შუქი, პრიზმაში გატარებული, შვიდ ფერათ დაიშლება ხოლმე. ასე შვიდ ფერათ დაშლილ მზის შუქს სპეკტრი ეწოდება. სპეკტრის ერთ ბოლოზე მოთავსებულია წითელი ფერის სხივები, მეორეზე კი იის ფერი. ამათ შორის სხვა ფერის სხივებია მორიგათ ჩაწყობილი. ამ ქამათ ჩვენთვის საგულისხმო ეს თვალით დასანახავი სხივები კი არ არის, არამედ სულ სხვა, უხილავი სხივები. ორსავე უკიდურეს სხივებთან სპეკტრში კიდევ მოთავსებულია უსინჯავი სხივები. ესენი თვალის რეტი-

პროფესორი რენტგენი.



ხელის ჩონჩხი.

ნაზე არ მოქმედებენ, ვერ აღიზინებენ მას და ამიტომ ჩვენ მათ ვერ ვხედავთ. სხივს, რომელიც წითელი ფერის სხივებთან არის მოთავსებული და უხილავია, ჰქვია ინფრა-წითელი. იმ სხივებთ კი, რომელნიც იის ფერის სხივებთან არიან, ეწოდებათ ულტრა-იის ფერის სხივები. ინფრა-წითელი და ულტრა-იის ფერი სხივი თუმცა უხილავია და მათ ვერ ვამჩნევთ, მაგრამ მათ შესახებ, მათი სხვა-და-სხვა თვისებათა ზედ-მოქმედებათა შესწავლით, ცოტა რამ ვიცით. ინფრა-წითელი სხივი კალორიული თვისების მექონია (ე. ი. ამ სხივებს ბევრი სითბო აქვთ). სპეკტრის იმ ნაწილზე, სადაც ეს სხივებია, ტერმომეტრი რომ მოვათავსოთ, ტერმომეტრში ვერცხლის წყალი აიწევს და მეტ სითბოს გვიჩვენებს. ულტრა-იის ფერი სხივი კი ქიმიურთ მოქმედებს სხვა-და-სხვა ნივთიერებაზე: ზოგ ნივთიერებას ანაწილებს, ზოგსაც აერთებს. საღ არის მიზეზი სხივთა ამ სხვა-და-სხვაობისა?

თანამედროვე მეცნიერება იმ აზრისაა, რომ მთელი მსოფლიო მოფენილია ერთგვარი უხილავი ნივთიერებით, რომელსაც ეწოდება ეთერი. ეთერი ყოველ სივანშია, ატომებს *) შორის, არის აგრეთვე ყველგან, ჰაერში და ცთომილთა შორის სივრცეში. ორი დამახასიათებელი და ნიშნობლივი თვისება აქვს ამ ნივთიერებას: მისი თვისებაა გადამეტი მოუქნელობა, უდრეკილობა და ფრიად მცირე სიმკვრივე. სითბო, ელექტრონობა და სინათლე მხოლოთ სხვა-და-სხვა გვარი ვიბრაციაა, ტოკვაა ამ ნივთიერებისა. ეს ნივთიერება ტოკავს, ღელავს და ზვირთებს გზავნის ყოველი მხრით. ზოგი ზვირთი გრძელი და ნელათ მოძრავია, ზოგიც მოკლე, მაგრამ გახშირებით, მალი-მალ მტოკავი. თვით ეთერის ატომები კი სხივების გარდი-გარდმო, პერპენდიკულიარულათ ტოკვენ. სინათლის სხივების სხვა-და-სხვაობა პირ-და-პირი შედეგია ზვირთების სიგრძისა და სიმოკლისა. ხშირათ მტოკავს და მოკლე ზვირთს სინათლის ფრათ ეხედავთ, ნელათ მტოკავს და გრძელს კი ვერა. მაგრამ აქაც ფარგალშია მომწყვდეული ჩვენი მხედველობა. დავინახავთ მხოლოთ ისეთ სხივს, რომლის ზვირთის ტოკვა წამში არა უმცირესია 485 ტრილიონისა (წითელი ფერის ტოკვა) და არა უმეტესი 710 ტრილიონისა---(იის ფერის ტოკვა). ამაზე უფრო ნელი ან ხშირი ტოკვა თუ აქვს ზვირთებს, ასეთი სხივი ჩვენთვის უხილავია. აგრეთვე დავინახავთ ისეთ სხივს, რომლის ზვირთის სიგრძე 620 მილიმეტრის (წითელი ფერის ზვირთის სიგრძე) მეათასედს არ აღემატება, მაგრამ არც უმცირესია 423 (იის ფერის ზვირთის სიგრძე) მილიმეტრის მეათასედისა. უფრო გრძელი ან უფრო მოკლე ზვირთი არ მოქმედებს ჩვენი თვალის რეტინაზე **), არ აღიზი-

*) ატომი ესრის უუმცირესი, ფიქრით წარმოსადგენი ნივთიერება, რომლისაგანაც შედგება ყოველი სხეული.

**) თვალის მგრძნობიარე კერსი, რომლითაც გვრძნობთ სინათლეს.



დაკეტილ ყუთში მოთავსებული ძეწკვის სურათი.

ნებს მას და ამიტომ უხილავია. მაგრამ ჩვენ საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ შეუძლებელი იყოს უფრო გრძელი ან მოკლე ზვირთი, რომელსაც არ შეეძლოს წამში ან ნაკლები, ან უფრო ხშირი ტოკვა. სითბოც ეთერის ზვირთების ტოკვაა. ხოლო ეს ზვირთები სინათლისაზე უფრო გრძელია და ნელათ მტოკავი. აგრეთვე ელექტრონობაც შედეგია ეთერის ამ გვარისავე ტოკვისა. ზვირთები კი სინათლისაზე გაცილებით უფრო მოკლეა და გახშირებით მტოკავი.

ახლა კიდევ ქვევით წავიდეთ. საოცარ სანახავს წარმოადგენს ელექტრონი გეისლერის მილში. გეისლერის მილი მინისაა და ორივე ბოლო დახურული აქვს. ამ მილის ორსავე ბოლოში გაყრილია მართული, რომელიც შეერთებულია ელექტრონის რომელ'ამე მანქანასთან, ხიფთან. თითონ მილი ჰაერისაგან სრულიათ განთავისუფლებულია. რამდენათაც უფრო სრულია სიცარიელე მილისა, იმდენათ უფრო მარჯვეთ მოვახდენთ ცდას. ახლა ელექტრონის ხივი რომ მოვუშვათ, გეისლერის მილი მომწვანო და იის ფერათ განათდება შიგნით. სანახავი სასიამო და საოცარია! სწორეთ ასეთი მილი გააკეთა მეცნიერმა კროოკმა და ამ საოცარ სხივთა თვისებას კვლევა-ძიება დაუწყო. მან შეამჩნია, რომ, როცა კათოდის*) მიდამო ბნელით არის მოცული, ამ დროს ანოდის მიდამო მომწვანო ფერის, ნაზათ მოკამკამე სხივებით არის განათებული. მოვლენა მით უფრო სრული და უნაკლულოა, რამდენათაც უფრო სრულია მილის სიცარიელე. კროოკმა ამ სხივებს კათოდიური უწოდა. ამ მოვლენის მიზეზს კი შემდეგში ეძებს კროოკი. მას ჰგონია, რომ არის რაღაც განსაკუთრებული მდგომარეობა ნივთიერებისა. ასეთ მდგომარეობას, ვითარებას უწოდა სხივმფინარე მდგომარეობა (état radiant). აი, ასეთ მდგომარეობის დროს ელექტრონი მოძრაობაში მოიყვანს ხოლმე ნივთიერების მოლეკულებს**), მილის მეორე ბოლოზე გადატყორცნის და გამოიწვევს ხოლმე ასე საოცარ, მომწვანო ფერათ მანათობელ სინათლეს. ეს კათოდიური სხივები მილშივე რჩებიან და გარე ვერ გამოიტანენ, ჰაერში ვერ გავრცელდებიან. ანდამატის ისარი (ყიბლანი) ამ სხივებზე მოქმედებს და მიაბრუნ-მოაბრუნებს ხოლმე. შემდეგ ლენარმა დაამტკიცა, რომ ეს სხივები კარგათ ვრცელდებიან ჩვეულებრივსა და თავისუფალ ჰაერში.

რენტგენი ამათზე უფრო წინ წავიდა და ცდა შემდეგ-ნაირათ მოახდინა. კროოკის მილს გარს სქლათ შემოახვია სრულიად შავი ქაღალდი. მილის შორე-ახლო მოათავსა ეკრანი, რომელსაც დაცხო პლატინო-ციანური ბარი. შემდეგ ელექტრონის მანქანა მოუშვა, მოქმედებაში მოიყვანა, და ეკრონი ამ დროს მოკამკამე მომწვანო ფერით განათდა. ასეთი გამოცდილებისაგან ცხადი იყო უნდა დაესკვნა, რომ მილიდან მომწვანო ფერის სხივებმა გამოატანეს შავსა და სქლათ შემოხვეულ ქაღალდში და ეკრანიც ამიტომ განათდა. შემდეგ შავი ქაღალდის მაგიერ სხვა საგნებიც აიღო რენტგენმა. აღმოჩნდა, რომ ამ უხილავ სხივებს შეუძლიათ გაატანონ სქელ წიგნში, ხისა და ლითონის ფირფიტებში და სხვ. ბოლოს რენტგენმა თვისი ხელი მოათავსა მილსა და ეკრანს შუა: ეკრანზე გამოიხატა ამ ორგანოს ჩონჩხი. (ეს ნახატი აქაც არის მოყვანილი). სულ ბოლოს რენტგენმა ისიც აღმოაჩინა, რომ ეს სხივები საფოტოგრაფო ფირფიტაზეც მოქმედებენ, ამისათვის კი სრულებით საჭირო არ არის იმ ყუთს თავი ავხადოთ, რომელშიაც ფირფიტაა. მაგრამ ჯერ ისევ აქ შევჩერდეთ და ამ საოცარი სხივების ზოგი თვისება მოვიხსენიოთ.

ამ უხილავ სინათლეს სხივი იმიტომ ეწოდა, რომ იგი მგრძნობიარე სიფრიფანას დაფარავს იმ საგნების აჩრდილით, რომლებშიაც გაძვრება, გაატანს. თითონ რენტგენმა ამ სხივებს იქს-სხივები უწოდა. ზევით მოვიხსენიეთ, რომ კროოკის კათოდიური სხივების მიმოქცევა, მიბრუნებ-მობრუნება ყიბლანს შეუძლიათქო. რენტგენის სხივებზე კი ყიბლანი ვერ მოქმედებს. ჩვეულებრივი სინათლის სხივები უკუკრთებიან ხოლმე სიფრიფანიდან და განიცდიან გადატყდომას, როცა რომელიმე საგანში მიძვრებიან (მინაში მაგ.). რენტგენის სხივების არც გადატყდომა და არც უკუკრთობა არ შეიძლება. სინათლის სხივს, როგორც ვიცით, სითბოც თან ახლავს. რენტგენის სხივების შესახებ კი ვერას ვიტყვით. აქვთ თუ არა მათ კალორიული, სითბოს მომგვრელი თვისება, ეს ჩვენ არ ვიცით, რადგან ჩვენი თვალის რეტინაზე ვერ მოქმედებენ. სხვაფრივ ეს სხივები ჩვეულებრივი სინათლის სხივებისაგან არ განირჩევიან. ხოლო მათი განსაკუთრებული, ნიშნობლივი და დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ ეთერის ატომები აქ სხივის პერპენდიკულიარულათ

---

*) კათოდი მართულის ის ბოლოა, რომელსაც — ელექტრონობა შემოაქვს, ანოდი კი ის ბოლო, რომლიდანაც შემოდის + ელექტრონობა.

**) მოლეკულაც ფიქრით წარმოსადგენი და უხილავი ნაწილია ნივთიერებისა. ყოველი საგანი შედგება ატომებისაგან. რამდენიმე ატომი ერთ მოლეკულას შეადგენს, მოლეკულათა კრებულს კი წარმოადგეის საგანი, ფიზიკური სხეული.

კი არ ტოკვენ, არამედ სიგრძით. დღემდე არ იცოდენ ეთერის ატომების ასეთი ტოკვა. ყველა ის თვისებანი, რომელნიც რენტგენის სხივებს ახასიათებენ და რომელნიც კიდეც ჩამოვთვალეთ, პირდაპირ შედეგს წარმოადგენს ეთერის ატომების ამგვარათ ტოკვისას. აი, ეს არის თეორიული მხარე ახლათ აღმოჩენილი სხივებისა. პრაკტიკაში ამ სხივებს სხვა-და-სხვა ნაირათ გამოიყენებენ და მოიხმარებენ, უეჭველია. უფრო ფოტოგრაფიაში და ხირურგიაში იქნება სასარგებლო ეს სხივები. ამ მხრით პირველი გამოცდილება მოახდინა პროფ. მოზეტინგმა ვენაში ამ წლის 9 იანვარს ორ ავათმყოფზე. ერთს მკლავი ტკივოდა. ახალი სხივების შემწეობით მოზეტინგმა მკლავის ფოტოგრაფიული სურათი აიღო და აღმოაჩინა, რომ მკლავში ფინთ-ხი ყოფილიყო. მოახდინა ოპერაცია და ავათმყოფი განკურნა. მეორეს ფეხი ტკივოდა. აქაც აღმოჩნდა, რომ ავათმყოფის ფეხის ძვალი მიბრუნდულ-მობრუნდული, მახინჯი იყო. ამას შემდეგ ბევრგან სხვა ამისთანა გამოცდილება მოახდინეს. მაგრამ ყველაზე უფრო გასაოცარი და არ დასაჯერებელი ამბავი ამ დღეებში დეპეშამ მოგვიტანა: ნიუ-ორკში ვიღაცას, რენტგენის სხივების საშუალებით, თვისივე თავის ტვინის ფოტოგრაფიული სურათი აუღია. რამდენათ სარწმუნო და დასაჯერებელია ეს ამბავი, არ ვიცით. ის კი უნდა ვთქვათ, რომ ბორგმანმა, ვიდრე ეს ამბავი მოხდებოდა, წინდაწინვე ის აზრი წარმოთქვა, რომ, თუ ვერცხლის მარილის მაგიერ პლატინისას წავცხებთ საფოტოგრაფო ფირფიტას, შესაძლო იქნება მივიღოთ ფოტოგრაფიული სურათი არა მარტო სხეულის ძვლებისა და ჩონჩხისაო, არამედ თავის ტვინისაცო. საკვირველია, რომ ასე მალე გამართლდა და განხორციელდა წინათ-მოსაზრება ბორგმანისა!

რენტგენის სხივების მეოხებით იღებენ სურათებს სხვა-და-სხვა ნივთებისას, რომელნიც მოთავსებულნი არიან დაკეტილ და დახურულ ყუთებში. მაგ., აქ ჩვენ მოყვანილი გვაქვს სურათი ძეწკვისა, რომელიც ჩადებული იყო სრულებით დახურულ ყუთში, და ამ დროს აიღეს მისი სურათი.

საყურადღებო ამბები.

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ (აბჟუა). ჩვენსკენ წელს დიდი ზამთარი დგას: ჯერ იყო და გამუდმებითმა წვიმებმა თავი მოაბეზრა როგორც პირუტყეს, ისე ადამიანსაც. მაგრამ ამას ვინღა ჩიოდა, რომ დიდი თოვლიც ზედ არ დართოდა ამ წვიმებს. იანვრის მეორე ნახევრიდან დაიწყო თოვა და ერთი საქენი თოვლი დადგა მთა-გორიან სოფლებში და სოფლის ნაწილებში, ზღვის პირათ კი ერთ არშინამდის. ღრმათ მოხუცებულნი ამბობენ, ამოდენა თოვლს არ მოესწრებიენართო.

შარშან აფხაზეთში თოვლი თვალითაც არ უნახავს კაცს. ამიტომ ხალხი მეტათ მოუმზადებელი დახვდა წლევანდელ ზამთარს. ამიტომაც ამ დიდმა ზამთარმა აუარებელი ზარალი მოუტანა მცხოვრებლებს: ზოგს სახლი ჩაუმტვრია, ზოგს ბოსელი, ზოგს სასიმინდე და სხ. ხე-ხილისა და სხ. ხეების წაქცევა — დამტვრევას ვინღა ჩამოთვლის.

სხვათა შორის, ს. ტკვარჩელის ეკლესიის სახურავი ჩაამტვრია დიდმა თოვლმა. სოფ. ჭილოვში ერთი გლეხი საქონელს მიერეკებოდა თურმე საყანე ადგილისაკენ (აფხაზეთში სადაც სიმინდის ღერს მოჭრიან, იქვე ხეებზე ჩამოკიდებენ ხოლმე და დრო ჯ საჭიროების-დაგვარათ ხან იქვე აძლევენ საქონელს ჩალას და ხან შინ მოაქვთ), ამ დროს ზვიდან წამოგორდა თოვლის ზვავი, რომელმაც ქვეშ მოიტანა საწყალი გლეხი საქონლიანათ. რამდენიმე დღეს შემდეგ ამოთხარეს თოვლიდან საბრალო გაყინული გლეხი და მიწას მიაბარეს. ცხენით მისვლა-მოსვლა სოფლებს შუა თითქმის შეწყვეტილია. ბევრგან „თხილამურებ-თ“ დაიარებიან ახლაც კი. რადგან მისვლა მოსვლა სოფლებს შუა არ არის, რამდენი ზარალი და უბედურება მოხდა, ნამდვილათ არავინ იცის.

ხმელეთზე რომ ასეთი თოვლი მოდიოდი, ამავე დროს ზღვაც საშინლათ ღელავდა და ბობოქრობდა. ამანაც აფხაზეთის ნაპირებს არა მცირე ზარალი მოუტანა. ამისთანა დიდი და ხანგრძლივი ზღვის ღელვა, 30 წელიწადია, რაკ არ გვინახავსო, ამბობენ ოჩამჩირელები. თითქმის ორი კვირა ოჩამჩირე მოწყვეტილი იყო ქვეყნიერებას, რადგან გემები შორს გაურბოდენ მას.

ამ დიდმა თოვლმა ერთი სარკებლობაც მოუტანა ქვეყანას: რაც თოვლი მოვიდა, ქურდობა თითქმის მთლათ შეწყდა და დროებით მაინც თავისუფლათ ამოისუნთქა მცხოვრებლებმა. არც ტყის ნადირთ დაუდგათ ხვირიანი დღე, მონადირეებსაც ეს უნდოდათ. იმათ ბევრი ნადირი დახოცეს, ბევრი ცოცხლათ დაიჭირეს. სამწუხაროთ აფხაზები ღორის ხორცს არა ჭამენ, ხოლო გასაყიდათ ვერ გაუტანიათ.

ერთ გირვანქა თოფის წამალში იძლევიან დაკლულ გარეულ ტახს, მაგრამ წამლები არავინ არის.

ერთი სიტყვით, წლევანდელი საოჯახო წელიწადი ვერაფერი ხეირიანია ჯერ-ჯერობით აფხაზეთისათვის. სიმინდის მოსავალი გვარიანი იყო, მაგრამ იმის ფასი ხომ დაეცა და დაეცა. უმაზანდობისგამო სასიმინდეებში ლპება ამ წვიმიან წელიწადს სიმინდი.

მოუთმენლათ მოელიან მცხოვრებნი გაზაფხულს, იქმნება სიმინდის მაზანდამ აიწიოს და რამე ეშველოს ჩვენს გაჭირვებასაო. ენახოთ.

ვ. მ.

* *

სიღნაღი. ყოვლად უსამღვდელოესის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალებამ აქაურ ქართველთა შორის განუსაზღვრელი მწუხარება გამოიწვია. ჭეშმარიტათ, ქვეყნის დიდი ჭირისუფალი და მოსარჩლე დავკარგეთ! საუკუნოთ დადუმდენ ბაგენი საკვირველისა და შესანიშნავი ივერიელისა, რომლის ცეცხლ-მფრქვევი, მღელვარე სიტყვანი მედგრათ, შეუპოვრათ ამხილებდენ ჩვენს საზოგადოებაში ღრმათ ფესვგადგმულ ბიწიერებათა, ბოროტებათა და ცოდვათა. ეს იყო პირველ მოციქულთა მსგავსი ადამიანი, დიდი და ვრცელი ფილოსოფიური განათლებით აღჭურვილი, კაცი წმინდა, ნამდვილი ღვთიური რიხვისა დ მსჯავრისა, კლდესავით შეურყეველი ხასიათისა, ძლიერი, წარბ-შეკრული, აღტაცებული და მომხიბვლელი მქადაგებელი მაღალი ჭეშმარიტებისა, სათნოებისა და სიყვარულისა. თვით სულიერი არსება, მთელი ბუნება ყოვლად უსამღვდელოესის გაბრიელისა, როგორც იშვიათი ადამიანისა, ფრიად ორიგინალური, თვით-მყოფი თვისებისაა და წარმოადგენს დიდათ რთულ მოვლენას ჩვენს აწინდელ ისტორიაში. ეს უკანასკნელი გარემოება გვაუწყებს, რომ მადლი უზენაესი ნიჭისა ჯერ კიდევ არ გამქრალა საქართველოს არე-მარეზე და გვინერგავს გულში ღრმა იმედს, რომ სანატრელი მომავალი აქვს იმ ერს, რომელმაც, დღეინდელ უბედ-იღბლობაშიც კი შეძლო წარმოეშობა ასეთი შესანიშნავი, მჭერმეტყველებით აღგზნებული და მთის ნიაღვარსავით წამომსკდარი, საზოგადო მოღვაწეობის მადლით ცხებული სასიქადულო შვილი.

გუშინ, თებერვლის 11-ს, ადგილობრივ ეკლესიაში ქართულ ენაზე შესრულებულ წირვას შემდეგ, დეკანოზმა მ. ბეგლევმა წარმოთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა დაუვიწყარი მწყემსთმთავრის მაღალი ნიჭი და ბრწყინვალე მოღვაწეობა, რომელმაც სახელი გაუთქვა გარდაცვალებულს არა მარტო მთელ რუსეთის იმპერიაში, ევროპაშიაც კიო, და დაასრულა მისისავე „ანდერძის" სიტყვებით: ,,ვევედრები ყოველთა, რომელნი გაიგონებენ ჩემსა გარდაცვალებასა, ლოცვა ჰყონ ჩემისა ცოდვილისა სულისათვის''. ჩვენც ვილოცოთ—ბძანა პატივცემულმა დეკანოზმა—შესანიშნავი მწყემსთ-მთავრის სულის მოსახსენებლათო და თვალებზე ცრემლ-მორეულმა მთრთოლვარე ხმით პანაშვიდი გარდაიხადა. პანაშვიდს დაესწრო აქაური ქართველობა, რომელსაც, როგორც მოგახსენეთ, დიდი მწუხარება ეტყობოდა...

* *

შორაპნის მაზრა: ვინ არ იცის რომ ჩვენი ხალხის ჭკუა-გონება ჯერ კიდევ ბნელით არის მოცული. ამასთანავე ვინ არ იცის, რომ გონებრივ დაწინაურება—განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს არამც თუ კერძოთ ადამიანის მდგომარეობის გაუმჯობესობაში, არამედ მთელი სახელმწიფოების წარმატებაშიაც. სწავლა-განათლება, რასაკვირველია, დამყარებულია უფრო შკოლებზე. შკოლების რიცხვმა, როგორც ყველგან საქართველოში, იმერეთშიაც იმატა (უფრო ზემო იმერეთში), რაც ფრიად სასიხარულო მოვლენათ უნდა ჩავთვალოთ, რადგან ეს არის უტყუარი საბუთი ხალხის გამოფხიზლებისა და სწავლის სურვილის აღძვრისა. მაგრამ რა გამოვიდა, როცა სამინისტრო შკოლებში ქართული ენის სწავლება ძლიერ შევიწროვებულია და ბევრგან სრულიად მოსპობილიც. მაგ. ყვირილის ნორმალურ სასწავლებელში, ხუთ წელზე მეტია, რაც ქართული ენა გაუუქმებიათ და მისი გაკვეთილები რუსული ენისთვის დაუთმიათ. ამ ენის გასავრცელებლათ ქუთაისის გუბერნიის სამინისტრო შკოლებში შემოღებულია ბ. ლ. „მუნჯური მეთოდი". ეს მეთოდი ბავშვების გონების დასამახინჯებლათ არის მოგონილი და, რომ უფრო ფეხი მოიკიდოს ამ მეთოდმა ყვირილის ნორმალურ სასწავლებელში, პირველი კლასის მასწავლებლათ გამოიწერეს რუსეთის შუა გუბერნიიდან მასწავლებელი, რომელსაც ბავშებისა არა გაეგებარა. ჩვენი ყმაწვილები მხოლოთ დამტვრეულ რუსულის ლაპარაკს ეჩვევიან; ბევრი გადარჯულებული ოჯახი აღტაცებაში მოდის, რადგან ჰგონია, რომ მისი შვილი უფრო კარგათ ისწავლის, როცა დედაენას დაივიწყებს.

ს. ჯი—ლი.

* *

დაბა ყვირილა: ჩვენ-და საბედნიეროთ ასეთი სასარგებლო დაწესებულება, როგორიც არის სამკი-

თხველლოების გახსნა, დღითი-დღე მატულობს, მხოლოთ დაბა ყვირილაში აქამდის ვერ ველირსეთ.

წელს თებერვალში ბ. თ. ხუსკივაძემ წიგნსაცავის ნება-რთვა მიიღო და კიდევაც უნდოდა საქმის დაწყება, მაგრამ ქ. ქუთაისის ოლქის სასამართლოში იქნა გადაყვანილი. ახლა ბ. თ. ხუსკივაძემ ის ნება—რთვა გადმოგვცა ქვემოთ მოხსენებულ პირთ და კიდევაც დავიწყეთ საქმე: შევაგროვეთ ასამდე ქართული წიგნი და რამდენიმე მანათი. ეს წიგნები დავაწყვეთ წიგნის მაღაზიის მეორე ოთახში, რომელიც უფასოთ დაგვითმო ა. არიბიძემ. აქვე შეიძლება ჟურნალ-გაზეთ-წიგნების უფასოთ კითხვა. სამკითხველოს ხეირიანათ მოსაწყობათ და ყველა წიგნების შესაძენათ საჭიროა საშუალება. ამისათვის მოვუწოდებთ შორაპნის მაზრის საზოგადოებას, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას", წიგნებთა გამომცემელ ამხანაგობას და სხვა ქართველთა დაწესებულებათ, რომ ყველა დაგვეხმაროს დ. ყვირილაში წიგნსაცავის დაარსების საქმეში თუ წიგნებით, თუ ფულებით, რომ ჩვენც გვქონდეს ი'ეთი წიგნსაცავი და სამკითხველო, რომლითაც შეგვეძლოს ადვილათ მივაწოდოთ ხალხს გონებრივი და ზნეობრივი საზრდო და არ ჩამოვრჩეთ უკან სხვა დაწინაურებულ ერს. ვისაც სურს შეწევნა, ვთხოვთ გამოგზავნონ ყვირილაში წიგნის მაღაზიაში.

ს. ჯინჭველაიშვილი.
ა. არაბიძე.
მ. ბარამაძე.

მ ო გ ო ნ ე ბ ა.

დღეს, როდესაც ყოველი ქართველი გულ დათუთქულია იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის გარდაცვალებით და გლოვს მის სიკვდილს, მსურს „კვალის" მკითხველებს ვაცნობო შემთხვევა, რომელიც შემხვდა ამ სტრიქონების დამწერს ახლათ განსვენებულთან. ვიქნებოდი 8—9 წლისა, როდესაც ეპისკოპოსი გაბრიელი მობძანდა სოფ. კვალითს ეკლესიის საკურთხებლათ. ეს რომ გაიგეს, ყველა ახლო-მახლო სოფლებიდან მოაწყდა დიდძალი ხალხი, მსურველი ეპისკოპოსის ხილვისა და მისი ქადაგების მოსმენისა. მე ჩემ-და თავათ, ჩემ ტოლებთან მოუთმენლათ ველოდი წირვის გამოსვლას და ქადაგების გათავებას, რადგან ამას შემდეგ ჩვენ, ბავშებს, რიცხვით 40-ზე მეტს, ეპისკოპოსისაგან ჯვრები უნდა მიგველო, რასაკვირველია, თუ კი ლოცვას ვეტყოდით. გაზეპირებული მქონდა „ათი მცნება" რუსულათ და მით თავი მომქონდა, რადგან ჩემ მეტმა სხვამ რუსულათ ლოცვა არ იცოდა. წირვის გამოსვლისა და ქადაგების გათავებას შემდეგ ეპისკოპოსი განგებ ჩრდილში (ივლისის სიცხიანი დღე იყო) გამზადებულ სკამზე დაბრძანდა. წინ მაგიდა ედგა, რომელზედაც მრავალი პატარ-პატარა ჯვრები ეწყო ბავშებისათვის საჩუქრათ. კოტა შემკრთალი წაველქი წინ, მაგრამ, ეპისკოპოსმა რომ ლმობიერათ შემომხედა და ტკბილათ, დაყვავებით მითხრა: „შვილო, მომიახლოვდი"-ო, მაშინვე შიშიც გაჰქრა. ჯობს ჩვენი ბაასი სიტყვა-სიტყვით მოვიყვანო.

ეპისკოპოსი. „იცი, შვილო, ლოცვები?
მე.—ვიცი.
— თქვი.
— რომელი, ბატონო?
—რომელიც შენ გსურდეს.
—რუსულათ თუ ქართულათ?
ეპ. —აბა, ვნახოთ, რუსულათ.
— Азъ есмь Господь Богъ... (პირველი მცნებაც არ დამასრულებია, რომ გამაწყვეტია, შეიჭმუხნა. შევატყე არ მოეწონა).

ეპ.—თქვი ესევე ქართულათ... მე შემრცხვა, გავწითლდი, ავირიე და ჯვარის მიღების იმედიც დავკარგე. აქ აწ-ხსენებულმა გაიწვდინა ხელი ჯვრებისაკენ, აიღო ერთი მათგანი და მომაწოდა ამ სიტყვებით: „ნუ გეშინია, შვილო, ჯერ ქართულათ ისწავლე კარგათ და გაგებით და მერე რუსულათაც". ვეამბორე ხელზე, გამოვართვი ჯვარი, რომელშიაც წითელი ლენტი იყო გაყრილი, ჩამოვიკიდე იმ წამსვე გულზე და დავიწყე აქეთ-იქით რბენა ხალხში, რომ ყველას შეემჩნია ჩემ გულზე ჩამოკიდებული ჯვარი. მერე ისევ უკან დავბრუნდი, გავძვერ-გამოვძვერ ხალხში და ისევ ბავშებთან ამოვყავი თავი, მინდოდა მეყურებია, კიდევ ვინ გახდებოდა ღირსი ჯვრის მიღებისა. წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება: ვინც იცოდა და არ იცოდა ლოცვა, ყველა იღებდა ჯვარს. ეს კი არ მესიამოვნა. როგორ? რუსულათ ლოცვების მცოდნე და ანბანის უვიცნი ერთგვარათ იქნენ დაჯილდოვებულნი.. ამ ფიქრში რომ ვიყავი, ამდროს ეპისკოპოსს ბოთლით ცივი წყალი მოართვეს. აქამდისაც მწყუროდა, ახლა კი წყლის დანახვამ წყურვილი ისე გამიძლიერა, რომ როდესაც ეპისკო-

პოსმა წყალი ჭიქაში ჩაასხა და აილო დასალევათ, მე ისეთი ნდომით ავაყოლე თვალები ჭიქას, რომ, ვისაც უნდა შემოეხედა, ყველა შემატყობდა, რომ მეტათ მწყუროდა... სწორეთ იმ დროს, როცა ეპისკოპოსმა თავის პირს უსწორა ჭიქა და, ის იყო, უნდა შეესვა, თვალი მომკრა მან, შეაჩერა ხელი, მომმართა და მკითხა: ,,წყალი ხომ არ გწყურია, შვილო‘‘!.. ხმა ვერ ამოვიღე, მხოლოთ წინ კრძალვით წაველი. მომაწოდა ჭიქა და ერთ წამს დავცალე. ,კიდევ დალიე!‘‘ მითხრა ეპისკოპოსმა და თვისი ხელით ჩამისხა ჭიქაში წყალი. ისიც დავლიე. მესამე ჭიქა კი თვითონ მიირთვა. გადის მასუკან აგერ ოცი წელიწადი და, როცა კი მომაგონდება გაბრიელ ეპისკოპოსის ღვთისნიერი ლმობიერებით სავსე სახე და აქ ნაამბობი ამბავი, გული ყოველთვის გამოუთქმელ სიამოვნებასა გრძნობს.

ტ. ც—შვილი.

მესამოცე წლების მოღვაწენი

და

დღევანდელი ცხოვრება.

(თ. რ. ერისთავის იუბილეს გამო.)

ოქტომბრის 22 ქართველობამ იდღესასწაულა თ. რ. ერისთავის 50 წლის მოღვაწეობის იუბილე. ეს დღესასწაული ისე სამაგალითოთ და დიდებულათ იქმნა გადახდილი, რომ მიიპყრო მთელი ჩვენი ყურადღება. ერი საუკუნეთა განმავლობაში დანაწილებულ-დაქსაქსული, ვიწრო ადგილობრივი ინტერესებით გარემოცულ-კარჩაკეტილი, დღეს საერთო აზრით და მისწრაფებით, საერთო ჭირით და ლხინით ასულდგმულებულა, აღფრთოვანებულა! ერი, რომელიც ვერ გააერთა სახელგანთქმულმა მეფეებმა, ძლევა-მოსილმა მხედრებმა, დღეს ერთი საქმისათვის, ერთ ალაგას ხელი-ხელ გაყრილი გამოსულა! ერს, რომლის წარსულ დროშაზე შუღლი და უთანხმოება ეწერა, დღეს ერთობის, ძმობის დროშა აუფრიალებია! გურული და ხევსური, მეგრელი და თუში, ქართლელი და ქობულელი, იმერელი და კახელი ერთ ქალაქში ჩამოსულან, ერთ დარბაზში შეკრებილან, ერთი გრძნობით გამსჭვალულან! და ისიც რატომ? 50 წლის იუბილე მიელოცა ერთი კაცისათვის, და მერე რა კაცისათვის? მწერლისათვის, პოეტისათვის! წამოაყენეთ ირაკლი მეფე საფლავიდან და შეახედეთ, ის გაშტერებული წამოიძახებს: გურული და მეგრელი მე ვერ ჩამოვიყვანე თბილისში, რომ კრწანისის ბრძოლაში დამხმარებოდა, დღეს კი ვიღაც პოეტისთვის თავის ნებით ჩამოსულან! ეს მე აღარ მესმის, აქ რაღაც ახალი ძალა ამუშავებულაო. დიახ, ახალი ძალა ამუშავდა და მას თანდათან ემორჩილება მთელი საქართველო. რა ძალაა ეს? რა ქვია მას? რას შეიცავს იგი? საიდან მოდის, სად მიდის? ეს არის ასახსნელი და გასაგები.

22 ოქტომბერმა დაგვიმტკიცა, რომ ქართველობა გამოფხიზლებულაო, გვეუბნებიან ყოველი მხრიდან. მაგრამ საკმარისია კი ეს? რას ნიშნავს ეს გამოფხიზლება? რატომ უთუოთ დღეს გამოვფხიზლდით და არა 10—15 წლის წინეთ, როცა იუბილარის და მისი ამხანაგების მოღვაწეობა დუღდა და გადმოდიოდა? რა მოხდა მას შემდეგ? განა საკმარისია ვიცოდეთ ,,გამოვფხიზლდით‘‘? რით და რა ნაირათ გამოვფხიზლდით? მოვხსნათ ფრაზას სამოსელი, დავწყვიტოთ სიტყვებისაგან მოქსოვილი ქსელი, გადავიხედოთ იქით, მის ზევით, ქვევით, გადავუშინჯოთ ძირი, გამოვუჩხრიკოთ ფოსოლოები, ნახული სინათლისაკენ გამოვიტანოთ და მასთან ერთათ ჩვენც გამოვიდეთ. გავარკვიოთ სინამდვილე, გავანათოთ ცხოვრების კალაპოტი, რომ მღელვარებამ რიყეზე არ მიგვახეთქოს. ვუთხრათ თავისთავს სიმართლე, რანაირი მწარეც უნდა იყოს იგი. დიე, ვიცოდეთ ის შეგნებულათ, რასაც ყოველ დღე შეუგნებლათ ვაკეთებთ!

რ. ერისთავი ეკუთვნის მესამოცე წლების მოღვაწეთა გუნდს. აღფრთოვანებული დღესასწაული დაიმსახურა არა პირადათ რაფიელმა, არამედ იმ აზრებმა, რასაც ის თესავდა ცხოვრებაში. მაგრამ ეს აზრები, მეტ-ნაკლებობით, შეადგენენ კუთვნილებას მთელი გუნდისას. მისი წევრნი სხვა-და-სხვა ფორმით, სხვა-და-სხვა სახით, ემსახურებოდენ ერთსა და იმავე იდეას, ადგენ ერთ და იმავე მიმართულებას. რ. ერისთავის იუბილე იყო იმავე დროს იუბილე ამ მიმართულების, ამ აზრების, ამ გუნდის. დღეს ჩვენ ამას ვაფასებთ, პატივს ვცემთ. ამასთანავე უნდა ვიცოდეთ, რატომ ვაფასებთ, რა შეგვძინეს, რა გვიქადაგეს. ესეც არ კმარა. დღევანდელი ცხოვრება იგივეა, რაც მესამოცე წლებში იყო? თუ იგივეა, მაშინ აუხსნელი რჩება, რა ნაირათ ჩვენ ისე განვვი-

თარდით, რომ წინანდელ მოღვაწეობას დღეს ვაფასებთ. განვითარება მოითხოვს ცვლილებას, ცხადია ჩვენ შევცვლილვართ და, მაშასადამე, ცხოვრებაც გადასხვაფერებულა. ახალი ცხოვრება წარმოშობავს ახალ კითხვებს. რა კავშირი აქვს მესამოცე წლებში აღმოცენებულ კითხვებს დღევანდელ კითხვებთან? რა დამოკიდებულება აქვს მაშინდელ მოღვაწეობას დღევანდელ მოღვაწეობასთან, მაშინდელ მიმართულებას დღევანდელ მიმართულებასთან?

ზევით ვთქვით განვვითარებულვართ, მაგრამ განვითარებულ, წინ-წაწეულ ქვეყნებში სხვანაირ იუბილეებს ვხედავთ. როცა ვიქტორ ჰიუგოს იუბილე იდღესასწაულეს, პარიჟის არც ერთ მუშათა საზოგადოებას—გარდა ასოთ-ამწყობებისა—მონაწილეობა არ მიუღია. რატომ? ბურჟუაა.—აი, ახლა, ნოემბერში, გადაიცვალა გამოჩენილი მწერალი ალექსანდრე დიუმა-შვილი. პარიჟის საბჭოში წინადადება შეიტანეს გასვენებაზე დელეგატი გავგზავნოთ და ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი დავარქვათო. საბჭომ ხმის უმეტესობით ორივე წინადადება უარჰყო. რატომ? 1871 წ. განსვენებულმა წიგნაკი დაბეჭდა, რომელ'შიაც შეურაცხჰყო კომუნა და კომუნარებიო.—1893 წ. გერმანიაში მოხდა რეიხსტაგის დეპუტატთა არჩევანი. ბერლინის ერთ უბანში თავისუფალ-მოაზრეებმა შესანიშნავი მეცნიერი ვირხოვი გამოიყვანეს კანდიდატათ. მის წინააღმდეგ მუშათა დასმა უბრალო მეწაღე იანიშევსკი წამოაყენა და თანაც გამოაცხადა: ჩვენ დიდ პატივს ვცემთ ვირხოვს-მეცნიერს, მაგრამ ვირხოვს—საზოგადო მოღვაწეს არასოდეს არ მივცემთ თეთრ კენჭ'ს, ის ჩვენი ინტერესების დამცველი არ არისო. რა გამოვიდა აქედან? რა და გაამვეს მეცნიერი ვირხოვი და გაათეთრეს მეწაღე იანიშევსკი.—ციურიხში გადაიცვალა გერმანიაში ცნობილი პოეტი და ფილოსოფოსი ლეოპოლდ იაკობი. კონსერვატიულ გაზეთებს ეს სრულებით არ აღუნიშნავს, ლიბერალურ გაზეთებმა გაკვრით მოიხსენიეს, ხოლო მუშა-ხალხმა კი იგლოვა, გასვენებაზე მხოლოთ მისი წარმომადგენელნი დაესწრნენ, მხოლოთ მათი ცრემლი დაიღვარა. რატომ ასე დაიყო საზოგადოება? საქმე ის არი, რომ პოეტი მუშათა და დაჩაგრულთა მოსარჩლე იყო, მისი ლექსები ბეჩავთა სვე-ბედს დატირის.—ერთი სიტყვით, ევროპაში ამა თუ იმ საზოგადო მოღვაწის დღესასწაული ან გლოვა წარმოადგენს გლოვა-დღესასწაულს ამა თუ იმ დასისას, ამა თუ იმ წრისას, ამა თუ იმ კლასისას. მთელ ერს ის იშვიათათ გაანძრევს. ჩვენში ეს სხვანაირათ წარმოებს. რაფიელის სახელმა შეაერთა არა მარტო ქართველობის სხვადა სხვა შორეული ნაწილი, არამედ ამასთანავე სხვადა-სხვა წრის, შეძლების და წოდების ხალხი. აზნაური და გლეხი, ვაჭარი და ხელოსანი, კაპიტალისტი და მუშა, ყველა დაძმობილებულა, დაახლოვებულა, რომ პოეტის იუბილე ერთათ ედღესასწაულა. საიდან წარმოდგება ასეთი განსხვავება ჩვენსა და ევროპას შორის? ნუთუ ჩვენ ევროპას გავასწარით? სრულიადაც არა, ევროპამ კაი ხანია განვლო ის პერიოდი, რომელშიაც დღეს ჩვენ ვიმყოფებით. რამდენათ იქ გაძლიერდა ეროვნული თვით-ცნობიერება, იმდენათ გაძლიერდა თვითონ ერში სოციალური განხეთქილება. ჩვენ მხოლოთ ამის თავში ვართ. ევროპიული განვითარების დაბალ საფეხურზე ვდგევართ. ამ ნაირათ გამოდის, რომ განვვითარებულვართ და იმავე დროს ვერ განვვითარებულვართ. რას ნიშნავს ეს? რას და შედარებით ჩვენ გავლილ ხანასთან წინ ვართ, ხოლო ევროპასთან შედარებით უკან. წინ წასვლა და უკან ჩამორჩენა—აი, აქ არის მოგროვილი მთელი აწინდელი ცხოვრების უმთავრესი ძაფები. სიხარული თუ მგლოვიარება, ამაღლება თუ დამდაბლება, სისუსტე თუ სიძლიერე; შეგნება თუ შეუგნებლობა—არის ეს ეკონომიური, იურიდიული, პოლიტიკური თუ ლიტერატურული, მომდინარეობს ამ საერთო სათავიდან: ჩვენ განვვითარდით და საკმაოთ ვერ განვვითარდით, ერთ კიდეს მოვცილდით, მაგრამ მეორეს ჯერ ვერ მივაღწიეთ.

რაში მდგომარეობს ეს განვითარება თუ განუვითარებლობა? სად არის მისი დედა ძარღვი? რას მივყევართ წინ? რა გვიჭერს უკან?

აი, ამ კითხვების გარკვევას შევუდგებით და მკითხველს ვთხოვთ ცოტაოდენი ყურადღება მოგვაპყრას. აგრეთვე ვთხოვ სახეში მიიღოს შემდეგი: ჩვენი მსჯელობა შეეხება არა თვითეულ პიროვნებას, არა პეტრეს თუ ივანეს, არამედ მთელ სისტემას, მთელ მოძრაობას, რომლის წინაშე პეტრე და ივანე, მხოლოთ იარაღებია. ამათ იმდენი მნიშვნელობა აქვთ, რამდენათ ისინი ამ სისტემის განხორციელებული გამომხატველნი არიან...

ნ. ჟორდანია.

(შემდეგი იქნება)

ა კ ა კ ი ს.

როცა აწმყოზე გულგატეხილი,
წარსულის ზიზღით მომგონებელი
და მომავალშიც არცა ნუგეშის,
არცა იმედის არ მქონებელი,

—

სიკვდილისაგან მხოლოთ მან მიხსნა,
რომ ხელთ ავილე კრძალვით კალამი
და გადავწყვიტე, ვამცნო ქვეყანას
დამწყლულებელი სევდა-ვარამი.

—

და, ჰა, გაისმა ჩემი სუსტი ხმა,
გაცოცხლდა გული, ამაღლდა სული,
და კვლავ მესტუმრა განახლებულსა
რწმენა, იმედი და სიყვარული!

—

მაგრამ, როს ამ დროს შეუბრალებლათ
დევნა დამიწყო შურმა და მტრობამ,—
აღარ დამინდო და გამიტანა
არც სიყვარულმა, არც მეგობრობამ

—

და, ვერ შემძლები ბრძოლა გამეგრძო,
ისევ დავეცი და მხოლოთ ვიყავი,
ან მეცნო თავი დამარცხებულათ,
ან უსახელოთ მოვმკვდარიყავი,—

—

მაშინ უეცრათ შენ გაჩნდი ჩემთან,
თანაგრძნობითა მომეცი ხელი,
კვლავ აღმადგინე და დამიბრუნე
უძლურსა ძალა მაცოცხლებელი!..

—

მას აქეთია, ვერც ძლიერთ რისხვა,
ვერც ავი ენა გესლ-შხამიანი
ვეღარას მაკლებს გასალ-კლდევებულს,—
მარად თვალ-წინ მაქვს ჩემი მიზანი.

—

და, მაგონდები რა შენ, ღვთიურო,
როგორც მოძღვარი და მეგობარი,
გარს შემორტყმულ ბნელს და ბოროტებას
ვებრძვი მეც, შენებრ შეუპოვარი!..

დუტუ მეგრელი.

მეტი ღონე არ არი!

ეტიუდი.

(ვუძღვნი კნ. ანნა ბაგრატიონ – დავითიშვილს)

II*)

ვაროს დედ-მამას კარგი შეძლება ჰქონდათ. სოფელში ცხოვრებდენ. ვაროს მეტი შვილი მათ არ ჰყავდათ. ეჭვი არ უნდა, მის გასათუთებას საზღვარი არ ექმნებოდა. ვარო ეშხიანი გოგონა იზრდებოდა, შვიდ-რვა წლიდანვე ყურში ჩასძენოდა, რომ გაჩენილი იყო საკეკლუცოთ, გასათხოვრათ. ვარო თავის ბავშობას ატარებდა უზრუნველი სიცელქით, ყოველ წუთს გარს შემოხვეული ტოლებით შეეჩვია მუდამ მხიარულებას. როცა თავს დაიმარტოვებდა სახლში, ძალიან მოეწყინებოდა, რადგან მამა ხშირათ შინ არა ჰყავდა, დედაც მთელ დღეებს უსაქმურობაში ალამებდა. ხან და ხან გამართავდა ლოტოს, მეზობლებთან ჭორაობდა, ყველას ჰკიცხავდა, ვინც მისი აზრისა არ იყო. ვაროს ხშირათ ესურებოდა დედასგან ღარიბების მასხარათ აგდება, მათთან ამპარტავნობა. ვაროს ჯეროდა, რომ მასა და ვინმე საცოდავ დაძონძილ ბავშს შორის საერთო არა იყო რა. იგი სხვა აზრზე, სხვა ჰაერზე დაბადებულიყო, მოკლებოდა ადამიანობას, ახლო არ იკარებდა.

— ნეტა არ მინდა, ჩემმა ვარომ თავი აიგდოს და ვიღაც სალახანა გომბიოებ'ში გაერიოს... ყველამ თავი უნდა იცნოს. სად ვარო და სად ვინმე პირში ლუკმა გაწყვეტილი გომბიო! ამისთვის არ ვზდი, აბა რა!... იტყოდა თავლო და დაჰკოცნიდა თავის ნებიერ ვაროს.

— „თვალიც კი გამოგძვრა ქა! ნეტაი არ ილრიჯებოდე, დაუმატებდა, როცა დაინახავდა კარზე მომდგარ გლახას.

— გენაცვა, იჯარით ხომ არა მაქვს აღებული, რომ საცა გლახა და მშიერია, მე გავაძღო!.. წადი ვარო, დედა გენაცვალოს, ბიჭს უთხარი, როგორმე მოიშოროს ეს ოხერი. ვარო გაიქცეოდა, საჩქაროთ შეესრულებია დედისგან დავალებული, და თითონაც დაუმატებდა:

— წადი, დაიკარგე აქედან! აღარ მოხვიდე,

*) იხ. „კვალი“ № 8.

თორემ ავუშვებ ამ ჩვენს მურკას და სულ დავაგლეჯიებ შენს თავს. იცი თუ არა?.. თაფლო შვილის ამ მოსწრებულ სიტყვებზე გულიანათ იცინოდა, ვაროც თავ-მოწონებული შემოეხვეოდა გამასათუთებელ საყვარელ დედას, შეთხოვდა წაეყვანა ან პატარა სონასთან, ან თამოსთან. ვაროს დაუჭირეს მასწავლებელი ქალი. ვაროს არაფრათ ეჭაშნიკა, როცა დაინახა, რომ უცხო ქალი გაუკვირდა დამტერეული ქართულით კუდი-კუდს დასდევდა ყველგან.

— არ მინდა, არა. შეძახებდა ეს ქინიანათ.

— არ მინდა სწავლა, ადრეა! დაუმატებდა და გაიქცეოდა. შევარდებოდა იმ ოთახში, სადაც ქალებს თავი მოეყარათ და გულმოდგინეთ გაცხარებულნი გაიძახოდენ რაცხვების სახელს, თან ჩხუბსაც ჩაურევდენ ხოლმე. ვარო მოუჯდებოდა დედას გვერდზე და, თუ მასწავლებელი დაუპირებდა გაყვანას, მოჰყვებოდა წუწუნს, ტირილს. საკმაო იყო, რომ თაფლოს დაენახა ნამტირალევი შვილი, მის შობლიურ გრძნობას მედგრათ ხმა გაეღო და შეეტია...

— კაი დროსია, თქვენმა მზემა, აი!.. თუ სწავლება გინდოდა, აქამდის სად იყავი?.. ახლა, როცა ბავშს ჩვენთან ყოფნა უნდა? მერე როდის არ უნდოდა ვაროს მასთან ყოფნა! ეს ყოველთვის გაფაციცებული ეძებდა მიზეზს, რომ სწავლისთვის როგორმე თავი დაეღწია, თუმცა ნიჭი, გონება ემჩნეოდა. როცა არავის დაიგულებდა სახლში, გულის დაპყრობით სწავლობდა, გახარებული მასწავლებელი ალერსით არიგებდა, უწონებდა, აქეზებდა, რომ ასეთი ბეჯითი ყოფილიყო. ვაროც თითქო უჯერებდა, პირდებოდა, მაგრამ საკმაო იყო გაეგონა დედის ხმა, რომ გონების დავთარი არეეოდა, გამოვარდნილიყო ოთახიდან, შეეჩივლა დედისთვის, თუ როგორ აწვალებდა მას ეს საძაგელი დედაკაცი. თაფლოს ძალიან უყვარდა ვარო. ზრუნავდა, რაც შეიძლებოდა შეუწუხებლათ გაეზარდა ერთათ-ერთი შვილი. ყველაზე განსხვავებით ჩაცმული რომ ჰყოლოდა, მკერვალებს აკერვინებდა მისთვის ძვირფას კაბებს, რადგან თვითონ არ ეხერხებოდა კერვა. ზრუნავდა აგრეთვე, რომ ვაროს ესწავლა. დაუჭირა მასწავლებელი თვეში სამ თუმნათ. ფულს როგორ-ღა დაიშურებდა! მაგრამ ესწავლა კი ვაროს შეღავათით, რომ გადაჭარბებულ მეცადინეობას არ შეეწუხებია. დაინახავდა თუ არა ოთახიდან გამოსულს, ლოყებშებრაწულ გაბუნჩულ ვაროს, შეშინებული გაუშინჯავდა მაჯას, შუბლს, ცხელი ხომ არ აქვსო.

— გენაცვალოს დედა, შვილო, რათა ხარ ანგრე?.. თვალები რათ გიბრწყინავს?.. აბა, ენა მიჩვენე?. თუ შეიძლებ-ენ, უშველავათვთ, ცოტა სუსტი ბავშია და, ვაი, თუ ვერ აიტანოს! ეტყოდა მასწავლებელ ქალს, რომელიც ცდილობდა მღელვარება შეემაგრებია, ყელში სიბრაზით მოსული ცრემლები შეეყენებია. ხშირათ ამათ შორის გაიმართებოდა ხმა-მაღლა ლაპარაკიც. თაფლო განრისხებული დასძენდა:

— რაო? ერთი უყურე?.. როგორ მიბედავ მაგ სიტყვებს?.. ვის დაჰკარგვიხარ? განა შენი გულისთვის სახლის-კარი უნდა ამოექოლო, აღარავინ შემოეუშვა? რა მიზეზია, რომ ვაროს სწავლის დროს არაფერი სხვა გასართობი ჰქონდეს? ბავშის გულისყური მარტო მასწავლებლისაგან კი არ უნდა იყოს მიქცეული სწავლაზე, მშობელიც ხელს უნდა უწყობდეს; განა მე ქინიანობაზე ვაქეზებ. მეტათ ნიჭიერ ბავშში საზარმაცე და ცუდი მიმართულება გაიდგამს ფესვსაო... მაშ ჩემი შვილის მტერი ვყოფილვარ რაღა?.. იქნება გეგონოს, მართლა ჩემზე მეტი გვყურება, რაკი ფრანგულათ და რუსულათ ტიტინებ? არა თქვენმა მზემა! მე მოგიწვიე იმისთვის, რომ წერა-კითხვა და ლაპარაკი ასწავლო და არა მე გამიხდე დედამთილათ. მასწავლებელი ქალი დიდ ხანს აღარ დარჩენილა ამათ ოჯახში. მას მოჰყვენ ორი-სამი სხვებიც, მაგრამ ამათაც მალე მიანებეს თავი... ვარომ, როგორც იყო, შეისწავლა წერა-კითხვა. თაფლომ მოამზადა ზაევდენიაში მისაცემათ,

— იკითხე, შვილო, რაც შეიძლო რუსული წიგნები! როდის იქნება, ჩემი გოგონა ფრანგულათ ასხაპუნებდეს!.. ვარო მიეტანებოდა ხანდისხან ქართულ ნახატებიან წიგნს, გამწყრალი თაფლო ხელიდან წაართმევდა.

— ნეტაი მე, რაღა მინდა, თუ ქართულათ იჯლიყინე!.. მეც ხომ შორს წავედი, დიდი სწავლული ვარ მაგითი და შენ ხომ ნამეტანი გახდები! აგრეთვე, როცა დაინახავდა ვაროს ხელში რომელსამე ხელსაქმეს, მოუსვენრათ თვალ-ყურს ადევნებდა დ, თუ შეამჩნევდა, რომ ეს შრომა დიდხანს, რამდენსამე საათს გაატანდა, შეშინებული დედა შეეხვეწებოდა, აეღო, ეკმარა, რადგან შეიძლებოდა თავი ატკივებოდა გოგონას. ვარო მიაბარეს ზაევდენიაში. პირველათ ჩინებულათ დაიწყო სწავლა, მერე და მერე კი დაუბრუნდა სიზარმაცეს, მეტადრე მაშინ, როცა დედ-მამა დაუხშირებდენ ნახვას. ეს გამოჰყავდათ დღესასწაულებში და აგემებდენ ყოველნაირ სიამოვნებას, გართობას. ვარო იზდებოდა, მცირედი სურვილი, ქინი უსრულდებოდა მშობლებისაგან. თუმცა სასწავლებელში ყოფნა მოწყინდა, მაინც, როგორც იყო, თავი გაიტანა ბოლომდის, მიიღო მოწმობა, გამოვიდა. თაფლომ დუქინ-დუქინობით დაუკერა, რაც საჭირო იყო. გასათხოვრათ

გამზადებული ქალი შეუყენა იმ გზას, რომელზედაც ათასობით ირეოდენ უზრუნველ პეპელეებსავით ყვავილებიდან ყვავილებზე მფრინავნი. დაშვენებული ვარო ხელი-ხელ სატაცებელი გახდა. მრავალი ახალგაზდა თავს ეელებოდა, ნატრობდა მასთან სამუდამოთ კავშირს, მაგრამ სათუთი, გალაღებული ვარო ტუჩს უბზუებდა და ერთ გადაწყვეტილ პასუხს აძლევდა: ამ ორ წელიწადს არა ვთხოვდებიო. ბოლოს ვაროს თვალში მოუვიდა იასონ. ეს უკანასკნელიც ამჩნევდა თავისკენ მიპყრობილ ყურადღებას და თავმოწონებით იღიმებოდა. იასონისადმი მისწრაფება დღითი-დღე იზდებოდა ვაროში. ორივე ცდილობდა ხშირათ შეხვედროდენ ერთმანეთს, მხიარულობდენ, ცეკვავდენ.

— კნიაჟნა, თქვენმა ნარნარმა ქცევამ, შვენიერმა სანახაობამ მომაჯადოვა, დამიმონა... უთხრა ერთხელ, როდესაც ნაცნობ ოჯახში მიწვეულნი, კადრილს თამაშობდენ. ვაროს გულმა სიამოვნებით ძალზე ძგერა იწყო.

— რაკარგია იასონ, რა კეთილია!.. ფიქრობდა გულში ვარო.

— თქვენს გარდა ჩემთვის არა არსებობს რა, ეს ოთახიც თითქო ცალიერია. მარტო თქვენი ხმა მეყურება და თქვენი თვალები გამოსცემენ ამ ბრწყინვალე შუქსა, რომლითაც განათებულია ოთახი. ოხ, რა დარწმუნებული ყოფ ვარო, რომ იასონ ლაპარაკობდა ჭეშმარიტათ, გულწრფელათ. ეს სხვა კავალრებს ისე აღარ წყალობდა, უფრო იასონისკენ ეპირა თვალი. იასონ, გარდა იმისა რომ მიმზიდავი იყო ვაროსთვის, შეძლებითაც სახარბიელო მოჩანდა. მაგრამ საკვირველია, რომ იასონ ერთსა და იმავე სიტყვებზე იდგა, გრძნობაც ერთ წერტილზე გაეჩერებია და წინ ნაბიჯს აღარ ადგმევიებდა. ხანდისხან კიდევაც შეჰკრთებოდა, თითქო ცდილობდა, მორიდებოდა ვაროს, მეტადრე მაშინ, როცა ბარძიმიანთ დარიკოს დაინახავდა. ვაროს ეჭვი გაელვიძა. მაგრამ იასონმა მალე გაუფანტა, დაარწმუნა, რომ დარიკო მისი ნათესავი ქალია... ვარო გაიტაცა პირველმა აღტაცებულმა სიყვარულმა, დღე თუ ღამე მუდამ იასონზე ოცნებობდა, გულში უმღერდა სატრფიალო საგალობლებს. ამ დროს ამის დედ-მამა ცხოვრებდენ ხელ-გაშლით, ეჭირათ თბილისში სახლი, შეექცეოდენ, სარგებლობდენ აწმყოთი. სვიმონ ვალებში იფლებოდა, მაინც ხელს არ იღებდა ცხოვრების მისწრაფებაზე, ქეიფზე, მეტადრე ახლა, რადგან ვაროც გასათხოვარი ჰყავდა, უნდა მოეძებნა მისთვის შესაფერი საბედო.

— ამ ორ წელიწადს კიდევ ვადედოფლებ, მერე, თუ არა გამოვიდა რა, ჩავკეტავ სოფელში და რაც უნდა ჰქნას!.. ეტყოდა გულ-მოსული ცოლს, როდესაც ხედავდა, რომ ვარო ყველას უარს ებნებოდა. იასონი კი აგვიანებდა. ერთხელ ვარო სხვა ქალებთან ერთათ მიდიოდა ნაცნობ ოჯახში. საუცხოო ღამე იყო. მოკრიალებული ცა დაჰკაშკაშებდა მთელ ქალაქს, რომელსაც არ მოესვენა და ღრიანცელ ხმაურობით ატყობიებდა ციურ მნათობთ, რომ ადამიანები ცოცხლობენ, ფხიზლობენ, ესწრაფებიან თავიანთ დანიშნულების აღსრულებას. ვაროს მოესმა ნაცნობი ხმა. შეჰკრთა, მიმოიხედა. ესენი უკვე მისულიყვენ დაროს სახლთან, რომლის წინ პატარა ბაღი იყო. დაწინაურებული ვარო ფიქრებში შეერია. რა გაიგონა სანატრელი ხმა, შეჩერდა და უნებურათ ყური მიუგდო.

— რას მეუბნები, სიცოცხლევ?.. ამბობდა ყმაწვილი კაცი, რომელიც ხის სკამთან იდგა, გულზე მიეკრა ქალი, ტკბილათ გულისთქმით ჩაცქეროდა სახეში და გატაცებული გრძნობით ელაპარაკებოდა. ვარომ დაინახა იასონი.

— როგორ არა!.. შენ ის მოგწონს, შენ ის გიყვარს... მიუგო ნაზათ ქალმა.

— ვინა, ღვთაებავ?.. ვარო?.. რას მეუბნები, შენი ჭირიმე?.. ძალიან შემცდარი ხარ... თუ ყურადღებით ვექცევი, ეს იმიტომ, რომ ხალხის თვალი და ყური ავიცილოთ. ჯერჯერობით ჩვენი გრძნობის გამჟღავნება ხომ არ შეიძლება?.. ვინ არის შენი ბადალი?.. ვარო გაფითრდა, მძიმეთ ამოიკვნესა, ამას არა დროს არ გამოუცდია ასეთი სულისა და გულის დაღონება... მაგრამ მალე შუბლი შეიკრა, პირჯვარი გამოისახა.

ანასტ. ერისთავი.

(დასასრული იქნება).

მგზავრის შენიშვნები.

(კასეთისაგან).

დიდარი ბუნების პატრონი და შვენიერი კახეთი, კაი ხანია, აღარ მინახავს. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ „ამ წუთისოფლის ცხოვრება“, ხან უდიდეს კავკასიონის მთებს იქით გადამატარებს ხოლმე და რუსეთის ერცელ მინდვრებში, მდინარე კუმის ხეობის ვენახებს შორის ამომაყოფიებს თავს, ხან კასპიის ზღვისაკენ, ზედ სპარსეთის საზღვრებთან მიმიყვანს და ამით მიკლავს გაცხოველებულ სურვილს, რომ ჩემი მშობელი ქვეყნის ყოველ კუთხე-ყურეს ზედ-მიწევნით გავეცნო, გავიგო იმისი ჭირი და ლხინი და დავტკბე მუდამ მისი ცქერითა და ხილვით.

და მერე, იცით, მკითხველო, რა დიდათ საოცარია ბუნება ჩვენი ქვეყნისა და მომხიბველელი შვენებით არის სავსე იმისი სიერცე და არე-მარე? სხვას ყოველიფერს თავი დაანებეთ და მარტო ის მოიგონეთ, რომ რუსეთის სახელოვანი, თითქმის გენიოს პოეტების—პუშკინისა და ლერმონტოვის, აგრეთვე ჩვენი საქართველოს პირველ ხარისხოვან მგოსანთა გრძნობა-გონება პირველ ყოველისა აქ, ამ ქვეყნის სიტურფით სავსე არე-მარეზე შედგა და განცვიფრებამ შეიპყრო. მდიდარი პოეზია და ანდამატიეით მიმზიდველი, ნაზი და უცოდველი ქნარი რომანტიკებისა, რომელთაც იგრძნეს უნეტარესი სიამოვნება და სიყვარული სიცოცხლისა, აქ აღეგზნო მთელი თვისი ძალ-ღონითა და ძლიერებით და ამ გასაშტერებელი ბუნების სიდიადის შემომქმედს უძღვნეს მეტათ „ხმა ტკბილი“ საგალობელნი...

ნეტავი იმ „რჩეულთ“, ვისი არსებაც დასაჩუქრებული ყოფილა და არის იმ მაღალი ნიჭით, რომლის საშუალებითა და შემწეობით შესაძლებელია კაცმა გამოიცნოს ბუნების უდიდესი მხატვრობანი და შვენებანი! და, აი, თუ გნებავთ, აქ არის, ამ ნიჭზე არის დამოკიდებული ადამიანის ბედ-იღბალი და მომავალი, ის წერტილი, საიდანაც იწყება უპირატესობა კაცისა ყოველ ხილულსა და უხილავ ქმნილებათა შორის. ამ ნიჭის იშვიათი და ძვირფასი თვისება კარგათ შეგნებული აქვთ ევროპიელებს, რომელთა ოჯახის-შვილები ათასობით და ათი-ათასობით ხარჯავენ ფულებს, რომ განიეითაროონ და განიფაქიზონ იგი მრავალი უცხო ქვეყნების მდიდარი სურათების ხილვითა და მოგზაურობით. ბევრ წარჩინებულ მეცნიერსა და მგოსანს, რომელთაც, იქნება, არც კი უნახავთ შკოლის კარები, მარტო ხანგრძლივი მოგზაურობით და მოგზაურობის დროს მრავალი გასაოცარი და სამაგალითო მასალების მოგროვებით გაუმდიდრებიათ გრძნობა-გონება, შთაბეჭდილებანი და მეცნიერებისა და ხელოვნების წარმატებაშიაც მკვიდრი საძირკველი ჩაუდგამთ...

ქართველ კაცს კი... ღმერთთან სიმართლე ჯობია, არაფრათ ეპიტნავება მოგზაურობა და, უცხო ქვეყნებისა კი არა, თავისი მდიდარი და შვენიერი ქვეყნის სხვა-და-სხვა კუთხეთა გაცნობა, რომლის ღრმა მნიშვნელობასა და დიდ სარგებლიანობაზე მას არც ხელი და არც გონება, ჩვენ-და სამწუხაროთ, არ მიუწვდება...

ეს გარემოება უნდა ჩაითვალოს, სხვათა შორის, მიზეზათ იმისა, რომ ქართველი კაცის მსოფლიოზე შეხედულება ერთობ ვიწრო და ღარიბია, იმისი გრძნობა-გონებისა და შთაბეჭდილებათა სალარო თითქმის დაცალიერებულია. თუმცა, საზოგადოთ რომ ვთქვათ, ქართველი კაცი მოძრაეია, სწრაფი, ყურთა სმენა, თვალთა მხედველობა და ყნოსვა საოცრათ მახვილი და განვითარებულიც აქვს, ევროპის განათლებულ თემთა შვილებს კი, თითქმის თუ სრულიად არ დაუკარგავთ, ძლიერ შეუსუსტებიათ ხომ ეს უმდაბლესი ხარისხის ნიჭთა თვისებანი და ინსტიკტები, როგორც მაგალითათ, ყნოსვა და თვალთ-მხედველობა. მაგრამ, სამაგიეროთ, საოცრათ განუვითარებიათ თვისი აზროვნებისა და გრძნობათა ძალნი და უაღრესი ნიჭიერებანი, და ამით შეუქმნიათ მრავალ-გვარი მეცნიერება, ფილოსოფია და ხელოვნება. კულტურა ერისა მხოლოთ მაშინ არის ნუგეშის მომცემი, ცხოვრების მომნიჭებელი და ნაყოფიერიც, როდესაც იგი მრავალ-გვარათ ანვითარებს, ავარჯიშებს და წრთვნის ადამიანის ნიჭთა და აზრს, რომ ქვეყანას გაუმრავლდეს გენიოსობისა და ტალანტის მექონი შვილები, რომელნიც შეიძლებენ ერის ცხოვრების გაუმჯობესობას, წინ წაწევას და წარმატების გზაზე დაყენებას. მართლაც-და, ერის კულტურას მეცნიერნი ხშირათ ზომაევნ ხოლმე იმ ადამიანების რიცხვთა რაოდენობით, რომელნიც სწავლა-მეცნიერებითა და საზოგადო განვითარებით მაღლა დამდგარან თვით უმეცარ, მდაბიო ხალხზე, აგრე წოდებულ „მასსაზე“. ხალხის, მასსის გონების საზოგადო განვითარებასა და მდგომარეობას ამ მოელენის გამოსაცნობლათ მაინც-და-მაინც დიდ ყურადღებას აღარ აქცევენ. გუსტავ-დე-ბონი და მასთან ერთათ ზოგიერთი ანტროპოლოღები გადაჭრით ამბობენ, რომ ათას ევროპიელზე ისე, უანგარიშოთაც აღებული სათვალეით, ცხრა-ას ოთხმოცდა თხუთმეტი კაცი ისეთი გამოდის, რომელნიც ჭკუა-გონებით სრულებით ვერ აღემატებიან ამდენსავე რიცხეს ინდუსელებისასო. მაგრამ, სამაგიეროთ, ათას ინდუსელზე თითქმის ორი კაციც კი აღარ მოდის ისეთი, რომელიც ჭკუა-გონებით მდაბიო ხალხზე აღმატებული და განვითარებული იყოსო. აი, სწორეთ ეს არის უბედურება და წარმატების გზიდან საშინელი ჩამოქვეითება ველური და ნახევრათ განათლებული ერებისა, და ეს გარემოება დიდათ და დიდათ დასაფიქრებელია, ჩემო კარგო...

ძალიან მოწყენილი და გულ-ნაღელიანი ჩავჯექი დილიჟანში, რომელსაც უნდა წაეყვანე სილნაღისკენ. დამნანდა, რომ ამ ზამთრობით ეტოვებდი თბილისს, ჩვენი ქვეყნის დედა-ქალაქს, სადაც უნდა გამოვთხოვებოდი ნაცნობ-მეგობრებს, ზოგიერთ განათლებულ ყმაწვილ-კაცთ, ორიოდე ქართველ დაბრძენებულ მოღვაწეთ, რომელნიც იმ პატიოსანი აზრით ცოცხლობენ და სულდგმულობენ, რომ სა-

მშობლოს სახელს, დიდებასა და წარმატებას ემსახურონ. თბილისია ჩვენი განახლებული ქართული ცხოვრებისა და სიტყვიერების, ლიტერატურის შუაგული, ცენტრი, რომლის გარეშემო ტრიალებენ საქართველოს ყოველი კუთხის ინტელიგენტთა პატიოსანი სურვილი და იდეალი. თბილისი აკავშირებს და აერთებს ნათესაობრივი მხურვალე გრძნობით მთელ ქართლოსიანთა ერის შვილებს: ქართლკახელს და იმერეთს, გურულს და აფხაზს, აჭარელს და მეგრელს, სვანსა და მთიულს, ინგილოსა და ჯავახელს, რომ ერთი უდიდესი აზრით, მრავალ-ტანჯული სამშობლოს სიყვარულით ღრმათ განიმსჭვალონ, თანამედროვე ცხოვრების ცხოველ მყოფელი ძალით შეიმოსონ, გულში დიდი სასოებით ატარონ ტკბილი იმედი განახლებისა, და ჩვენი მფარველი ღმერთი არ გაგვწირავს: მოგვეცემა ერთიც, მეორეც და მესამეც. მართალია, დღევანდელი თბილისი და ქართველობა თითქოს ერთმანეთს დაშორებიან, თბილისმა როგორღაც ჩვენზე გული აიცრუა და ერთგულათ ემსახურება მის „დამღუპველ ოსმალელსა". მართალია, თბილისის ზრდა-წარმატება, მთელი სიმდიდრე, ვაჭრობა და ალებ-მიცემობა, რომელიც ახლანდელ ქართველობას, თავისდა გასატიელებლათ და გასაქარწყლებლათ, მეტ ბარგათ დაუნახავს, სულ სხვების, გადამთიელთა ხელშია. ეს არის მიზეზი, რომ „სომეხი კაცი" აქ ამ ჩვენს დედა-ქალაქში ისე არხეინათ ჰგრძნობს თავის თავს, თითქოს თავის კილიკიაში იყოსო. მაგრამ ჩვენ, ქართველებს კი, თუ სული გვიდგია აქ, ისევ ჩვენი სახელოვანი წარსულით... ამ ძველი ქალაქის დიდი საქრისტიანო, რაინდულმა კაცთ-მოყვარეობისა და თავისუფლებისათვის საერო ბრძოლამ, ქართველის გულში თბილისისადმი დიდი სასოებით თავ-გადასავალმა და ისტორიამ ყველას ჭეშმარიტი სიყვარულისა და ტრფობის ცეცხლი აღგვინთო. ჩვენი საარაკო წარსულის მოწამეა აქ თვითეული ნამცეცი მიწისა „კრწანისის ველიდან" დაწყებული დიდუბისა და „მთაწმინდის" მაღალ სერამდე, თვითეული ნატეხი ქვისა, ძველ ნაშენთა კედელნი, „კოშკნი ნგრეულნი, მოხუცებულნი", გასაცვიფრებელი ძველი ციხე-სიმაგრენი, რომლის ბადალი თურმე მთელ აზიას არას დროს არ ახსოვს, და დიდებული ხელოვნებით ნაშენნი შესანიშნავი ტაძარნიცა. თბილისია-მეთქი მოწამე და, მაშასადამე, იგი უმტკიცებს მთელ განათლებულ ქვეყნიერებას იმასაც, რომ ქართველებს დიდი და მდიდარი წარსული, იმ დროის შესაფერი კულტურა ჰქონიათ და იმასაც, თუ რა ენით გამოუთქმელი ტრაგიზმით სამხედრო ქარცეცხლში დაიწვა და დაიღუპა ჩვენი ძველი ცხოვრება...

მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ დღეს ისე აშკარათ მაინც აღარ ისმის განუწყვეტელი ქუხილი ჩახა-ჩუხი თოფ-იარაღისა, საშინელი დაწიოკება, სისხლის ღვრა და გოდება მთელი ჩვენი საქრისტიანო ერისა... და, ბოლოს, ისევ პირველათ აქვე, თბილისშივე, და არა სადმე სხვაგან ჩვენს ქვეყანაში, ჩაიყარა ახალი ცხოვრების საძირკველი, რომელზედაც უნდა აიგოს ქართველისავე ხელით სამერმისო შენობა ქვეყნისა. წარსულით ასეთი მდიდარი და მრავალმნიშვნელოვანი კლასიკური ადგილის მიტოვება, დამეთანხმეთ, სახუმრო საქმე არ არის. და, ვაი, იმ ქართველს, რომელსაც აზრითაც კი მაინც სრულიად მიუტოვებია და დაუვიწყია თბილისი, იმისი ისტორია, წარსული და აწმყო, და თავისი ერის სახელისა და წარმატების გასაძლიერებლათ აქ არ მოუტანია თავისი ნიჭის, მხნეობის, გამბედაობის, ცოდნის ნაშრომი, რომ თბილისშივე დატრიალდეს და აღორძინდეს ქართველი ქონებით და გონებით, გაიჭედოს ის ნათლით მოსილი და ძალის დამლეწი გვირგვინი, რომელიც მოგვიანიჭებს ჩვენ საერო ერთობასა და ძმობას. მე კი, თბილისო, თუმცა დროებით გტოვებ, მაგრამ მოგმართავ და შამოგფიცავ უდიდესი წინასწარმეტყველის მღელვარე სიტყვებით: „აექვნ ენა ჩემი სასასა, უკეთუ დაგივიწყო შენ, იერუსალემ!.."

დიახ, თბილისის მიტოვება ძლიერ დამნანდა. მაგრამ ჩემ გარემოებაში მყოფისათვის ნაღველიც კი სასიამოვნოა. მეც უკუ-ვაგდე ფიქრები და თავი მივეც ამ გრძნობას—გულზე მოწოლილ ნაღველს..

სომლელი.

(შემდეგი იქნება)

„კვალის" ფოსტა. პიატიგორსკს ბ-ნ რ. მ—ს. თქვენი სტატია—„ლანძღვას და ტყუილს უფრო აფასებენ, თუ პატიოსნებას", რომელშიაც „ივერიის" მეფელეტონეს ჯიბრაილს ურჩევთ ლანძღვის ლექციების წაკითხვას აულაბარში, ვერ დაიბეჭდება.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.

საახალწლო საჩუქარი

გამოვიდა და იყიდება

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა № 38.

კედლის კალენდარი 1896 წლისა

შვენიერი სურათებით

ფასი 30 კაპ.

ვინც ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში ექვსი აბაზის წიგნებს იყიდის (ამხანაგობის მიერ გამოცემულს), კალენდარი მუქთათ დაეთმობა.

Доз. ценз. Тифлисъ, 23 Февраля 1896 г. — Тип. М. Д. Ротиніанца სტამბა, მ. დ. როტინიანცისა Гол. пр., № 41.